



გაზეთი გაეოღის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამბრაღიის

N22 (9166)

10 აპრილი, 2015 წელი

ფასი 50 თეთრი



6

ქვეყნის გაღარგანისთვის ფიქრის დროა!

ყველაზე საინტერესო საქითხავე



3

აუდიტის
რეკომენდაციის
საფუძველზე
კულტურის მინისტრიდან
16 ადამიანი გაუშვეს

ხოცა ეჭვი გონივრულია,
მხოლოდ ბანკის
პროექტი
შესაცვლია!

5



4

შთანთქმეჭრავი, საოცხარ რაცუნიხოური იჯრისის 31...

5

მთველუბა თუ ანა განუვაჭრლბას?



თუმონისტი
ლუქტონი
სამტრუთიოთას

8

ლუიკაპითი ღაავადებული კატარგბისათვის სისხლი გაიღოს


“მარტისტების კვირეულის” გაგარჯგებული
სტუდენტობისათვის ეოზადება

მმ-4 საჯარო სკოლას ტატიანა
გეგუჩაპის სახელი არ მიენიჭება

2

“მოსახლეობა ცხელ ზაფხულში წყლის გამოხივას ვეი ებუება”

მე-4 საჯარო სკოლას ტატიანა გეგუჩაძის სახელი არ მიენიჭება



ნათია ნაცვლიშვილი



მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავადვე მოუწია ცოტა ხნის წინ მის მიერვე მიღებული განკარგულების გაუქმება. მართალია, მე-4 საჯარო სკოლისთვის ღირსეულობის პიროვნების, ყოფილი დირექტორის, ტატიანა გეგუჩაძის სახელის მინიჭების თაობაზე საზოგადოება "სამტრედიის" ინიციატივას საკრებულოს მთელი შემადგენლობა უმტკივნეულოდ დაეთანხმა, მაგრამ როგორც 3 აპრილის საკრებულოს სხდომაზე გაირკვა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრიტერიუმებს წარმოადგენილი კანდიდატურა არ შეესაბამება.

საერთო სხდომაზე საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბადრი შენგელიამ გამოიტანა და საკრებულოს წევრებს პუნქტობრივად გააცნო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესი. ამ წესის თანახმად, სკოლას შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ:

1. "სამშობლოს დაცვის, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ან საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში თავალხაინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული გარდაცვლილი საერო ან სასულიერო პირის სახელი.
2. სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი სახელი.
3. სკოლაში დანერგილი სასწავლო პროგრამის ან მეთოდის სახელი.
4. ქართული კულტურის, ხელოვნების, ენის, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების საქმეში თავალხაინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საერო ან სასულიერო პირის სახელი.

უდი საერო ან სასულიერო პირის სახელი, რომლის გარდაცვალების დღიდან გასულია სულ მცირე 20 წელი".
 "ნაციონალური მოძრაობის" წევრმა დეპუტატებმა კოლეგებს უსაყვედურეს, საერთო უფრო ღრმად რომ შეეცნა, ქალბატონი ტატიანას ოჯახის წევრთა წინაშე უხერხულობაში არ აღმოჩნდებოდით.
 "ამით ქვეყანა არ დაქცეულა, ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ქალბატონი ტატიანას სახელი მიენიჭებოდა, მაგრამ არ მიმართა გამართლებულად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს სულგანათლებული კარგი კაცის სახელი რომ მივანიჭოთ. მე, როგორც ერთი საკრებულოს წევრი, მზად ვარ კონსულტაციისთვის, რომ სხვაგვარი ფორმულა მოვებნოთ, ხოლო იმ სულკურთხეული კაცის ხსოვნა ღამაზად დაგვასოთ, მაგრამ ისე, მის ნაშრომ-ნაღვაწს რომ მოუხდება, იმ სახლს კი სულ სხვანაირად მოვეპყროთ". - აღნიშნა ზაზა ადვიშვილი.
 მამუკა ბიბილაშვილის რეპლიკას: საკითხს სრულყოფილად შევისწავლით, ბადრი შენგელიას კომენტარი მოჰყვა: "ნუ გიგვართ თქვენ ასეთი ჩაბიებები.

შემდგარი მხოლოდ ღმერთია," კამათი გაცხარდა და მას სერიოზული დამატულობა მოჰყვა: "საკანონის შექმნით კვლავ ხალხი ამ ქვეყანაში, განაცხადეს "ქართული ოცნების" წევრებმა და ზაზა ადვიშვილმა ოპონენტებს გვირგვინის და ბუტა რობაქიძის მკვლელობები შეახსენა.
 "არ გინდათ ეს იაფფასიანი რაღაცეები", პრეზიდენტს პალტოს ხარჯები და შამპუნის გადახარჯვა დაუღმეთ ბრალდება". - მიმართა ოპონენტებს ემზარ შუბლაძემ.
 " - მთელი მსოფლიო არ აღიარებდა იმას, რასაც თქვენი ხელისუფლება აკეთებდა". - განაცხადა მანანა სირბილაძემ.
 საბოლოოდ, კოლეგების დაძაბულობის განმუხტვას "რესპუბლიკელი" იმედა გოგავა შეეცადა და თქვა, რომ დროა, პოლიტიკურად გაიზარდონ და ერთმანეთს მკვლელების და უსაქმურების იარაღი არ მიანწონონ, რამეთუ ამ ტერმინებითან საერთო არაფერი აქვს დარბაზში შეკრებილ 30 ადამიანს.

მომიგვკვი, მკანახევი!

თხოვნის მიუხედავად "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარი არ გააკეთა, ვერც ის შევიტყვეთ, დილის ცხრის ნახევრიდან თერთმეტისათ წუთამდე ვის (რას) ელოდა ჩვენი ოთხეუბა მეგობარი, მაგრამ აშკარა იყო, რომ ღოღინს უკვე დაეღალა და არხეინად წამოწოლილიყო მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე.
 ხუმრობა იქით იყო და სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, მაწანწალა ძაღლები ისე გამრავლდნენ, რომ ყველგან ვესტუმრობენ. რას ვიზამთ, საინტერესო ეპოქაში გვიწევს ცხოვრება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სიყვარული ფსიქიკურ დაავადებად აღიარა?! ცხოველთა დამცველები გამეტებით იცავენ ცხოველთა უფლებებს. ადამიანთა უფლებები კი...
 ბოდიშს ვუხდით ჩვენს ოთხეუბა მეგობარს ტკილი ძილი რომ დაუფრთხეთ და მადლობას ყურადღებისათვის, თავის აწევით რომ გამოსხატა აპარატის ჩხაკუნსა და უნებლიე შუქზე.

ლევან ბაგრაძე



"მოსახლეობა ცხერ ზაფხულში ნყის გამოხოვას ვეი ებეება"

6064 ნაცვლიშვილი
 ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა მშენებლობის დარგში ვრცლად მიმოიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2015 წლის "სოფლის მხარდაჭერი პროგრამით განსახორციელებელი პროექტები".
 ავთანდილ ნაცვლიშვილმა, პირველ რიგში დიდ ჯიხაიშში მიმდინარე სამუშაოების შესახებ ისაუბრა. სოფელში დამთავრდა მოხრეშვითი სამუშაოები. თუმცა, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხის გარდა დამატებითი ხორციელდება ე. წ. გრეიდერის გატარება, რაც გზის მოსწორება-მომანდაგებას უკეთ უზრუნველყოფს.
 ავთანდილ ნაცვლიშვილის ინფორმაციით, დიდ ჯიხაიშში ასევე მიმდინარეობს ადმინისტრაციული შენობისა და სახელოვნებო სკოლის სახურავის შეცვლა. № 1 საბავშვო ბაღში სამხარეულოს, სამრეცხაოსა და საპირფარეოს ამოშენება-კეთილმოწყობა. ასევე განხორციელდება ვანბევის უბნის სასაფლაოს შემორაგვა ქვის ღობით, სოფლის ამბულატორიის სარემონტო სამუშაოები და ინვენტარის შექმნა. გორმალაში ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე დაწყებული ოთახების რემონტი საბავშვო ბაღის განსათავსებლად.
 ავთანდილ ნაცვლიშვილი თავის გამოხატვაში ტოლების თემში მიმდინარე სამუშაოებსაც შეეხო. კერძოდ, მიმდინარეობს საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ადმინისტრაციულ შენობას სახურავი ეცვლება. პარალელურ რეჟიმში ხორციელდება სანიაღვრე არხების გაწმენდა. ავთანდილ ნაცვლიშვილის ინფორმაციითვე უახლოეს მომავალში ტოლების თემში შიდა საავტომობილო გზების მოხრეშვა მოხდება ინერტიული მასალით. მშენებლობის დარგში მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტი

სტის შეფასებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ზემო აღნიშნული პროექტით გაწერილი სამუშაოები სრულდება. ზოგიერთ უბანზე დაფიქსირებულია უმნიშვნელო სირთულეები, რომელიც, ავთანდილ ნაცვლიშვილის თქმით, თანდათან, ეტაპობრივად მოირთო. მშენებლებს მიეცათ მითითება, მაქსიმალურად შევიწროვებულ ვადებში შეასრულონ აღნიშნული სამუშაო".
 დაწყებულია და აქტიურად მიმდინარეობს "სათნობის სახლის", ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის, 2 სამუსიკო სკოლის შენობის, სწორდება: "შემიძლია, თამამად განაცხადო, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები მშენებლების მხრიდან დაცულია და ყველა შესრულებული სამუშაო ხარისხიანი იქნება".
 ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე განხილული იქნა ასევე, რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები. იგი ძირითადად შეეხო მალაქთიანი სოფლების წყალმომარაგების სამუშაოებს. გომში, ოფეთში, საჯავახოში, გორმალაში, გამონინებულში, ტოლებსა და ნიგორზღვაში დაწყებულია საქლორატორი წყლის რეზერვუარების შექმნა-მშენებლობა. ხოლო ზოგიერთ სოფელში მიმდინარეობს მაგისტრალის ნაწილობრივი შეცვლა. "რამდენიმე სოფელში ვაწყდებით წინააღმდეგობას. მოსახლეობა ამ ცხელ ზაფხულში ვერ ეგუება წყლის გამორთვას, არადა, სამუშაოები ისე ვერ ჩატარდება, ესა თუ ის ოჯახი. დროებით ქსელიდან თუ არ გა-

მოირთო. მშენებლებს მიეცათ მითითება, მაქსიმალურად შევიწროვებულ ვადებში შეასრულონ აღნიშნული სამუშაო".
 დაწყებულია და აქტიურად მიმდინარეობს "სათნობის სახლის", ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის, 2 სამუსიკო სკოლის შენობის, სწორდება: "შემიძლია, თამამად განაცხადო, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები მშენებლების მხრიდან დაცულია და ყველა შესრულებული სამუშაო ხარისხიანი იქნება".
 ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე განხილული იქნა ასევე, რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები. იგი ძირითადად შეეხო მალაქთიანი სოფლების წყალმომარაგების სამუშაოებს. გომში, ოფეთში, საჯავახოში, გორმალაში, გამონინებულში, ტოლებსა და ნიგორზღვაში დაწყებულია საქლორატორი წყლის რეზერვუარების შექმნა-მშენებლობა. ხოლო ზოგიერთ სოფელში მიმდინარეობს მაგისტრალის ნაწილობრივი შეცვლა. "რამდენიმე სოფელში ვაწყდებით წინააღმდეგობას. მოსახლეობა ამ ცხელ ზაფხულში ვერ ეგუება წყლის გამორთვას, არადა, სამუშაოები ისე ვერ ჩატარდება, ესა თუ ის ოჯახი. დროებით ქსელიდან თუ არ გა-



წყალი... ურნები...

მას შემდეგ, რაც 1978 წელს ქალაქ სამტრედიის ახალი საზღვრები დამტკიცდა, ბევრი რამ შეიცვალა.
 და მაინც, რა მივიღეთ, ქალაქის ახალი ადმინისტრაციული საზღვრების დამტკიცების შემდეგ? ის, რომ მთელ რიგ ქუჩებზე მოპირდაპირედ მცხოვრებ ოჯახთაგან, ერთნი სოფელს, მეორენი ქალაქს ეკუთვნიან. ეს შეცდომა ყველაზე მეტად სოფელ მეღაურსა და ქალაქ სამტრედიის იქნეს თავს. მაგალითად, მეღაურის თემში, ნინოშვილის უბანში ერთი შესახვევის ერთი ნაწილი ცურტაველის ქუჩად იწოდება და ქალაქს ეკუთვნის, მეორე ნაწილი კი - მეღაურს.
 ამჯერად ყურადღება ერთ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან საკითხზე უნდა გადავახვიოთ.
 უკვე მერამდენედ, ქალაქ სამტრედიის რობაქიძის ქუჩაზე მცხოვრებთა ერთმა ჯგუფმა "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში ვულისტკივილი იმის გამო დააფიქსირა, რომ წინათ რობაქიძის ქუჩაზე ორივე მხარეს მიედინებოდა აწყარა წყალი (საცხოვრებელი სახლების, ეზოების წინ). ბოლო წლებში, წყალი სხვა მიმართულებით მიუშვეს, საწრეტი არხები ნაკვეთ ბუდედ იქცა, ხშირი წვიმების დროს დამდგარი წყალი ბაყაყებს, ქვეწარმავალთა საბუდრად და ქვეწარმავალი სახეცა.
 კარგი იქნება, თუ წყალს ისევ გაატარებენ არხებში, გამდინარე წყალი ბევრ პრობლემას მოხსნის, სწუხდნენ ყოფილი მეღაურელები (ამჟამად რობაქიძის ქუჩის მცხოვრებლები), რომლებიც აღნიშნულ ქუჩაზე ნაკვეთ ურნების არარსებობას ერთ-ერთ პრობლემად ასახელებენ.
 საკითხის შესახებ ჩვენი გამოხატვის ერთგულ მკითხველს, სამტრედიელთათვის კარგად ნაცნობ კაცს, ბატონ რაულ ხუჭუასაც გავუხარებთ, ბატონ რაულიც დაეთანხმა თანასოფელთა აზრს და გაამყარა კიდევ მათი თხოვნა ხელისუფლებისადმი - წყალი ისევ გაუშვან არხებში (თხრილებში) და ნაკვეთ ურნებიც დადგან რობაქიძის ქუჩაზე, რომელიც დიდი ხანია ქალაქის ტერიტორიის ნაწილია.

ლევან ბაგრაძე

თქმა გაგონებში

ყველაზე საინტერესო საკითხავი

ქუთაისის მერიის გადაწყვეტილება, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებასა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ააიპ-ებში საკვალიფიკაციო გამოცდების დაწესების თაობაზე, საგარეოდ, სასიგნალო არა მხოლოდ ამ სისტემისთვისაა. და ისევე საგარეოდ, არა მხოლოდ ქუთაისისთვის. იმედია, საკადრო წმინდა და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება ამ პროცესების მიმდინარეობისას ერთმანეთში არაფერს აკრავს, თორემ ფაქტი მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ამაზე ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნების შემდეგ იყო საუბარი. უფრო მეტიც, გამოცდების ჩატარების გაფორმებისთანავე, მაშინ ხელისუფლებაში მოსულები, ამ ინიცია-

ტივას უკვე ყოფილებს, ანუ “ნაციონალებს” მიაწერდნენ. და როგორც ხდება ხოლმე, ყოველ შემთხვევაში საქართველოში, საატესტაციო გამოცდებმა არა მხოლოდ საატესტაციო დატვირთვა და ფუნქცია შეიძინა. არადა, სტატისტიკამ, შეიძლება ითქვას, ჯიუტმა კი, გვიჩვენა, რომ, ზოგ შემთხვევაში მისი გადაბრუნება, პროფესიონალი უსამსახუროდ, არაკვალიფიციურს ნუ ვიხმართ, მაგრამ არც ის ვიცი, რა გულისხმობს იმ კადრებს, სამსახურებში რომ დარჩა. ბევრი შემთხვევაა, მეტიც, უკვე ისმის შემთხვევითა ხმა, რომლებმაც უკეთ იცნან სიმართლე, მაგრამ

აქ “ოსტატურად” ვხმარობთ სიტყვას “ზოგი”? ბევრი რომ არ გაგაგრძელოთ, ვთავაზობთ ადგილობრივი მაკროეკონომიკის, ანუ მათ კომენტარებს, ვინც უშუალოდ უნდა განსაზღვროს სამტრედიის მსგავსი პროცესების მომავალი. დაგვეთანხმებით, ეს ყველაზე საინტერესო საკითხავი იქნება გზითის ამ ნომერში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ნუგზარ ჯამბურიას და გამგებელს, ვალერი ფოცხვერიას მხოლოდ ამ საკითხზე სასაუბროდ ვთხოვეთ რამდენიმე წუთი.



საკრებულოს თავმჯდომარე პირველი ვახლადია, ვისთან საუბარშიც ეს თემა წამოიწია. და სანამ მუნიციპალიტეტის გამგებელი, ანუ ის, უშუალოდ ვის გადასაწყვეტიც არის ამგვარი ატესტაციის ჩატარება-არჩატარების საკითხი, შურნალისტების კითხვებს უპასუხებდა, ნუგზარ ჯამბურია განაცხადა, რომ...

- უკვე ჩატარებულმა გამოცდებმა რა შედეგები მოიტანა, დაკომპლექტდა კვალიფიციური კადრებით საკრებულო-გამგებობა?
- კვალიფიკაცია გამოცდებებს მოაქვს. განათლებული ადამიანები კი ნამდვილად მოიყვანა.
- და თუ ასეა, შეიწირა კვალიფიციურები?
- შეიძლება ასეც დაისვას კითხვა, მაგრამ კონკურსი კონკურსია!
- ააიპ-ების შემთხვევაშიც, ანუ ამჯერადაც იგივე კითხვა ხომ არ დაისმება?
- შურნალისტის გამჭრიახი თვალთ რომ გადახედოთ დანიშნულ კადრებს, არა მგონია, ეს იფიქროს კაცმა...
- რომ გადავხედოთ, იმიტომაც დაისვა იქნებ ეს კითხვა...
- არა მგონია, ყველა ნიუანსი გათვალისწინებული არ იყოს ამ დანიშნულების დროს.
- ესე იგი, მოსალოდნელია საგამოცდო ციებ-ციხელებას ფართო მასშტაბები მიეცეს?
- ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია.

- მუნიციპალიტეტის გამგებელი სამუშაო საათების დასრულების შემდეგ მოვიხლოეთ. მასთანაც მსგავსი კითხვები დაისვა, რომლებსაც პასუხებაც მსგავსი ვაუწყავს ვალერი ფოცხვერია არც ადასტურებს და არც უარყოფს, რომ...**
- თუ საერთო მიდგომა იქნება ასეთი, ვერც ჩვენ აუვლით გვერდს. საერთოდ პირველს, ყველაფერს ხარვეზი აქვს და არ არის გამორიცხული ქუთაისური გამოცდებიც რაღაც ხარვეზებით ჩატარდეს. თანდათან ეს მოდელი დაიხვეწება, ხარვეზები გასწორდება და... ერთი სიტყვით, დაველოდოთ რა მოხდება ქუთაისში.
 - გამოცდების ჩატარება მუნიციპალიტეტების ააიპ-ებში უშუალოდ გამგებლის და საკრებულოს თავმჯდომარის გადასაწყვეტია?
 - საკრებულოს თავმჯდომარე ასეთ რამეებს ვერ წვევს, გამგებელი შეიძლება წვევდეს. ჯერჯერობით ასეთი რამ არ განიხილება. თუ მსგავსი გადაწყვეტილება მივიღებთ, საკრებულოში შე-

ვიტანთ საკითხს განსახილველად. ხომ არ ფიქრობთ, რომ უკვე ჩატარებულმა საატესტაციო გამოცდებმა კვალიფიციური კადრების ნაწილი სამსახურების გარეშე დატოვა და პირიქით, ნაკლებად კვალიფიციურებით დააკომპლექტა ადმინისტრაციული სამსახურის დღევანდელი შემადგენლობა?

- ნამდვილად არა! ჩვენ სამსახურებიდან არ გავვიყვანო ხალხი. პირველ რიგში, უკვე დასაქმებულთან კანონის ფარგლებში ჩავატარეთ საკვალიფიკაციო გამოცდები და მათი დიდი ნაწილი სამსახურებში დარჩა. ასე არ ხდება, გამოცდები და კონკურსები სწორედ კვალიფიციური კადრების გამოსავლენად მოგონილი. ვინც ჩააბარა, ესე იგი, იმაზე მეტად კვალიფიციურია, ვიდრე ის, ვინც ვერ ჩააბარა.

- საკრებულოს თავმჯდომარე ასეთი ფრაზა თქვა, შურნალისტური გამჭრიახი თვალით თუ გადახედავთ ამ კადრებს... ერთი სიტყვით, რომ გადავხედოთ, შეიძინევა...

- მე ვერ გეტყვით, რა დაინახეთ შურნალისტური გამჭრიახობით, ან რამდენად გამჭრიახია ეს შურნალისტური მხურა, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით. გა-

რდა ამ ყველაფრისა, კანონია ასეთი, ვინც მალა შედეგს აჩვენებს ამ ატესტაციებზე, ის დარჩება სამსახურში. ერთი ადამიანი მაინც დამისახველო, ვისაც გულისხმობთ გამოცდებით უსამსახუროდ დარჩენილ კვალიფიციურში.

- ვანო მახარაძე ...

- ვანო მახარაძეს უდიდეს პატივს ვცემ და მართლა მინდოდა, იგი ჩვენს სამსახურში ყოფილიყო დაკავებული, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა. ისე, ეს ფაქტი ცოტა დამაფიქრებელი კია.

- გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტესტები უფრო იურიდიული თვალსაზრისით იყო დატვირთული და არ იყო გათვალისწინებული პროფესიული საკითხები. კარგი, საჯარო სამსახურის თანამშრომელმა უნდა იცოდეს ამდენი კანონი, მაგრამ ააიპ-ების შემთხვევაში უფრო პროფესიული კუთხე არ უნდა იყოს გათვალისწინებული?

- ვინც ჩააბარა ეს გამოცდები, ყველა ადიარებდა, რომ საჯარო მოხელემ უნდა იცოდეს ეს საკითხები, მაგრამ ამ შემთხვევაში, თუ საერთოდ ჩატარდა ეს გამოცდები, ვისურვებდი, უფრო პროფესიული ნიუანსები იყოს გათვალისწინებული.

აუდიტის რეკომენდაციის საფუძველზე კულტურის ცენტრიდან 16 ადამიანი გაუშვეს

ნათობ ნაცვლიძე

საკრებულოს სხდომაზე საკითხი არასამქრონო (არაპროფიტული) იურიდიული პირის, სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის 2015 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის № 263 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, შალვა არზუმანიანმა გამოიტანა.

ლა და ეს ბიჭები არ გაეანაწყინოთ.” ამ მოტივით კენჭის ყრის დროს “ნაციონალებმა”, საკითხს მხარი არ დაუჭირეს.

დეპუტატს პასუხი კულტურის ცენტრის დირექტორმა, ვეფხია ნადირაძემ

მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გარდატეხა მოხდინეს. დღეს ისინი დედაქალაქში მოღვაწეობენ. “შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ მათ აუცილებლად სამტრედიის აფინანსებდნენ, ადამიანები ვიზრდებით, მსოფლიოზედგელობაც გვეცვლება, მივდივართ დიდ მეგობრობისკენ, ამ ადამიანებმაც თავიანთი არჩევანი გააკეთეს, ჩვენ მათთვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, დარწმუნებული ვარ, როცა კი დასჭირდება რაიმეს, ვინცოთ და რაღაც ფორმით ჩაერთვებით ან რაიმის კულტურულ ცხოვრებაში”. - აღნიშნა მან.

დეპუტატი ემზარ შუბლაძე მანც პროტესტებს თანხის დაზოგვას “ლაბორინთის” წევრების და სხვა თანამშრომელთა ხელფასების გაუქმების ხარჯზე: “არ მიმაჩნია, სწორად “ლაბორინთის” წევრების და სხვა თანამშრომელთა სამსახურებიდან გაშვების ხარჯზე საკუთარი კომფორტი შექმნან. ჩვენს შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს რომ მერი არაბიძე დღეს ქუთაისის სახელით გამოდის. როცა შენი ოჯახის გარეთ გამოდის, შენი ოჯახის დესპანი ხარ, როცა შენი ქვეყნის გარეთ ქვეყნის. სამტრედიის საქართველოდან არ გამოვყოფ მაგრამ სამტრედიის სპორტსმენის წარმატება ჩემი სიხარული და სიამაყეა”.

ემზარ შუბლაძე “დათა თუთაშხიას” მეთვალყურედ აძოდა და არა ვეროპ-

ული მიდგომიდან: “გლობალიზაცია კარგია, მაგრამ არის ისეთი მიდგომები, რაც ამ პროცესებს ხელს არ უშლის. ერთ-ერთ ტელეგადაცემაში “ლაბორინთის” ბიჭებმა თქვეს, რომ არიან სამტრედიის. ამას გარდა 150 თუ 200 ლარი დღეს ნებისმიერი ოჯახისთვის არის სერიოზული შემოსავალი. აუცილებელია ასეთ ჯგუფებს ხელი შევუწყოთ და მოვეხმაროთ”. რაც შეეხება ბადრი შენგელიას დაპირებას ესენი ფიქრობენ წელიწადნახევარი და ამასობაში სამტრედიის არც სპორტსმენი დაგვრჩება, არც ჯგუფი. მე შეამაყება, სამტრედიის ჯგუფი სამტრედიის სახელით გამოდის, ვფიქრობ, ეს არ არის პროვინციალიზმი, პროვინციალიზმი ისაა, ამას რომ იტყვი”.



“სამტრედიის მაცნე” საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანმა განუცხადა, რომ კულტურის ცენტრიდან 16

ბლადემ განაცხადა, რომ შემცირებულ 16 ადამიანს შორის არიან ჯგუფ “ლაბორინთის” წევრები. “თავის დროზე მათ მინიმალური ხელფასი იმიტომ დაენიშნათ, რომ სამტრედიისთან ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი, თორემ თითოეულს 150 ლარი არ ააშენებთ. - განაცხადა ემზარ შუბლაძემ და შესანიშნავი სპორტსმენის, მსოფლიო ჩემპიონ მერი არაბაძის მაგალითიც გაიხსენა და თქვა: “თავის დროზე ადგილობრივმა თვითმმართველობამ 150 ლარი დაუნიშნა მას, შემდეგ მოუსხნა, ბავშვი წავიდა და ქუთაისის სახელით გამოდის ასპარეზობაზე, ჩემპიონი გოგონა დაკარგეთ სამტრედიელეებმა, ანალოგიური რამ არ მოხდეს ახ-

გაცა და განუძარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში ჯგუფ “ლაბორინთის” წევრებს ხელშეკრულებით აიყვანს. ისინი კულტურის ცენტრში მუშაობდნენ მსახიობებად და არა “ლაბორინთის” წევრებად. ამ ფორმით თანამშრომლობის იდეა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმაც მოიწონა.

ნიჭიერი სპორტსმენების წახალისების და მხარდაჭერის მიზნით ჩვენ უახლოეს ხანში დებულებას შევიშუშავებთ, უპასუხა ემზარ შუბლაძეს ბადრი შენგელიამ.

ჯგუფ “ლაბორინთის” მიმართ სიმპათიები იმედო გოგავამაც გამოთქვა და აღნიშნა, რომ ამ ქალაქში ამ ბიჭებმა

ადამიანი ააიპ-ის ხელმძღვანელმა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე დაითხოვა, რადგანაც ისინი არ იყვნენ სათანადოდ დატრენინგდნი.

გამოთავისუფლებულნი 4000 ლარი კი არზუმანიანის თქმითვე მუნიციპალიტეტის გამგებლის შენობაში სველი წებტილების მოწყობისა და მოწესრიგების ხარჯებს დაემტკიცა. საამისოდ უკვე გამოყოფილია გარკვეული რაოდენობის თანხა. იმ ადამიანებს, ვინც ჩვენს მსგავსად ტუალეტის პრობლემით შეწყუბუნდნენ არიან, კიდევ ერთ სახალეს ვაცნობებთ, ადმინისტრაციული სახლის შენობაში მამაკაცთა და ქალთა ტუალეტები მოეწყობა.

რეინიგბერგის 200-მს ოჯახს რეინიგბერგის!

ყოველწლიურად დიდ მზრუნველობას იწენს “საქართველოს რეინიგბერგის” ახალი პროფესიული კავშირი, რეინიგბერგისა და მათი ოჯახების საგანგებო დახმარებისა და ჯანმრთელობის გასაკავებლად.

ტრადიციულად მიმდინარე წელსაც იენისი-იგლისი-ავგისტოში დაბა სურამში გაგზავნილი იქნა რეინიგბერგის ადგილობრივი და დასავლეთ რეგიონის წარმოება დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა 200-მდე ოჯახი. კერძოდ, ჯანმრთელობა გააკავეს: სამტრედიის სალომონტივი დეპოს და თბილისის მახარისხეული დეპოს 36 ოჯახმა, ელექტრომომარაგების 30-მა, ადგილობრივი და დასავლეთის სალანდავო სამმართველოს - 57-მა, სადგურების: ბათუმის, სამტრედიის, ფოთის, ქუთაისის 21-მა, კავშირგაბმულობისა და სატელეფონო დარგის 20-მა, და სხვა რეინიგბერგის საწარმოთა 20-მა ოჯახმა.

დიდ მადლობას უხდებიან რეინიგბერგის ოჯახები რეინიგბერგის დასავლეთ რეგიონის პროფესიული კავშირის ხელმძღვანელებს.

რეინიგბერგის

შთამბეჭდავი, საოცხარ დასკვნები იქნის 31...

ლიზაზა გაგინაძე

სოფლის მხარდაჭერის, რეგიონული განვითარების, რიგი სხვა პროგრამებითა და დარგობრივი სამინისტროების დაფინანსებით მიმდინარე სამუშაოების ხარისხით მუნიციპალიტეტის გამგებელი და თავკაცები სისტემატურად რომ ინტერესდებიან, სიახლეს არ წარმოადგენს.

აუტანელი სიცხის მიუხედავად ივლისის ბოლო დღე სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ, სამტრედიის მაჟორიტარმა დეპუტატმა, პარლამენტის წევრმა ვიორჯი კახიანმა თანხლებ პირებთან ერთად მუნიციპალიტეტის მაკლამთიანი სოფლების მონახულებას მიუძღვნეს, სადაც ვაცხარებული სამუშაოები მიმდინარეობს.

საჯავახოს საჯარო სკოლაში მისულ სოფლის თავკაცები, შველევ თარგამაძე, თამაზ მიქაშვიძე, საჯარო სკოლის დირექტორი ვაჟა კუცია და რამდენიმე კაცი სკოლაში დაგვხვდნენ.

65 000 ლარის სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია ასრულებს, რომელსაც ინდემწარმე ვლადისლავ ბულიაინი ხელმძღვანელობს. ამ ეტაპზე გადაიხურება სკოლა (250 კვ. მ.), შეიცვლება ფანჯრები, ერთი სიტყვით, დიდი ხნის პრობლემა მოგვარდება განუცხადა მედიას სკოლის დირექტორმა ვაჟა კუციამ.

გიორგი კახიანმა, ვალერიანე ფოცხვერიამ საჯავახოში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მიმდინარე სამუშაოებიც დაათვალიერეს.

წლების წინ ოპტიმიზაციის გამო ვახისუბნის დაწყებითი სკოლა ტოლების საჯარო სკოლას შეუერთდა, თუმცა, და-

წყებით სკოლაში სასწავლო პროცესი არ შეწყვეტილა. სამი პედაგოგი, 14 მოსწავლე სწორედ დაწყებით სკოლაში არიან, ამჯერად აქ სარეაბილიტაციო სამ-

ოს დაფინანსებით მიმდინარეობს, თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლებისათვის სულერთი არაა როგორ შესრულდება. ვერ გეტყვით, რომ ყველაფრით აღ-



უშაოები მიმდინარეობს, რომლის საერთო ღირებულება 54 000 ლარს შეადგენს.

ახალი გადახურვა, განახლებული ფასალი, არაერთი მოგვარებული საკითხი, ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ მიმდინარე სამუშაოებით კმაყოფილი ვართ, გვითხრა ტოლების საჯარო სკოლის დირექტორმა, მარინე ხუჭუაძე.

ფრთხილვით ვარ, მაგრამ იმისი თქმა ნამდვილად შეიძლება, რომ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები წელს უკეთ მომზადდებიან შეხვედრებთან ახალ სასწავლო წელს, ვიდრე წინა წლებში. წელს ძირითადად გარე სამუშაოები შესრულდა, გაისად შიგა სამუშაოებიც განხორციელდება და საქმეც წინ წავა, კომენტარი გააკეთა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ.

მუნიციპალიტეტის მაკლამთიანი სოფლების მცხოვრებლებისთვის წელს მიწოდების პრობლემა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. ამ საკითხზე მაკლამთიანი სოფლების წელს სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობაზე “სამტრედიის მაგნი” არა ერთხელ მიაწოდა ინფორმაცია საზოგადოებას.

31 ივლისსაც, ძლიერი სიცხის მიუხედავად, სამუშაო მონაკვეთზე სპექტქნიკა და სპეციალისტები მონდობით ირჯებოდნენ. რამდენიმე ადგილზე მოუხდა შეჩერება პარლამენტარ გიორგი კახიანსა და მუნიციპალიტეტის



მართალია, სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო-



გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას, უფრო ღრმად რომ გაცნობოდნენ, ვითარებას, გასაუბრებოდნენ მოსახლეობას, მუშებს.

წლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, მათი დასრულების შემდეგ წელს პრობლემა აღარ შეაწუხებს მაკლამთიანი სოფლის მცხოვრებთ.

უაღრესად რთული მეგვიდრობა დაგეგვდა, პრობლემები ბევრია და ბუნებრივია, 2-3 წელიწადში ყველაფრის მოგვარება შეუძლებელია, თუმცა, ეტაპობრივად, ყველაფერი გაკეთდება.

განსაკუთრებით სასიამოვნოა ის, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ დადგებს ეფექტურად იყენებს და სასწავლო დაწესებულებების რეაბილიტაციას ახორციელებს. აღნიშნა ჩვენთან საუბარში პარლამენტარმა ვიორჯი კახიანმა.

ჩასასვლელად მოეშადა მზე, მთის ფერდობზე შეფენილი პირუტყვი აიშალა, თითქოს აგრილდა კიდევ.

გურული კრიმინოლოგიის ჩახლართულა გამოჩინებულის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრისაკენ მიმავალი გზა.

წლების წინ ამ მაღალ მთაზე მონასტრის მხოლოდ ნანგრევებია იყო, ამჟამად კი მშენიერი მონასტერია აღმართული, სამრეკლოზე ვევა ზარებია, რომელთა ხმაც მრევლს ამერ-მერიდან უხმობს უფლის სახლისაკენ. მამა ნახარი (ფახურიძე) მოღვაწეობს მონასტერში, გვისხნის ადგილობრივი, მოლოც-

ვა რომ დავამთავრეთ, წუთით საუკუნის ტოლ ხეთა ჩრდილს შევაფარეთ თავი, სამხსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ ივლისის იმ ერთი საოცრად ცხელი და ერთობ საქმიანი დღის მოსაგონებლად და გეზი სამტრედიისაკენ ავიღეთ.

როგორც ვთქვით, სოფლებში მოგზაურობისას მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები შველევ თარგამაძე, ალექო ბოცვაძე და გონა ქორიძე ადგილზე გვხვდებოდნენ.

რაილა ბოლო გაჩერება გამოჩინებული იყო, პარლამენტარმა და გამგებელმა მას შემდეგ, რაც გონა ქორიძის ეზოში ეგზოტიკურად მოწყობილი ჭა მონახულეს და ცივი წყლით გული გაიგრილეს, დაგვემშვიდობნენ, მედიის წარმომადგენლებმა კი “ცლუნებას ვერ გავუქელით” და სოფლის თავკაცის ეზოში სახლდახლოდ გაშლილ სუფრაზეც აღმოჩნდით.

სუფრა უფლის სადიდებლით, ცივი სახამორი და ნესვით დაიწყო და უფლის სადიდებელითვე (ფინჯანი ყავით) დასრულდა.

გამოჩინებულულთა თავკაცისაგან სასიამოვნო ინფორმაციაც შევიტყვეთ იმის შესახებ, რომ ადგილობრივი ქორიძეებს განუზრახავთ ფილიმონ ქორიძის, წმინდა ფილიმონ აღმსარებლისა და მგალობელის სახლ-მუხეუმის გახსნა, რაც უდავოდ მისასალმებელი და საშური საქმეა.

საოცრად შთამბეჭდავი, საქმიანი, დატვირთული იყო ივლისის ის ერთი დღე.

სოფელში საკეთებელს რა დალევს

თია გაგინაძე

კეთდება ის და ისე, როგორც სახალხო კრებამ გადაწყვიტა, რადგან, ისევე როგორც ყველგან, იანეთშიც კარგად იცანს, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი ფული ხალხის ფულია.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ამ პროგრამით დაწყებული სამუშაოებისთვის თვალის გადასვლაზე ჩავიდა თემში და გამგებლის წარმომადგენელ ვაჟა კონხრეიძის მეშვეობით სოფლის ორბლებს დაუყვავა.

იქ, სადაც პირველად მივიდნენ, მომუშავე ტექნიკის ხმამ მიიყვანათ. იანეთის მეშველ უბანს ეძახიან აქაურობას. საწრეტი არხების არარსებობის გამო ეზოებში წყლის დადგომის პრობლემა აქვს ამ უბნის მოსახლეობას. წყალსაწრეტი არხები თავის დროზე, რა თქმა უნდა, არსებობდა. შემდეგ კი, როგორც ხდება ხოლმე საქართველოში, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, მოსახლეობამ თვითნებურად ამოავსო, ზოგან კი გაუწმენდაობის გა-



მო ქვა-ლორღითა და ნავით ამოივსო და ერთ მშენიერ დღეს ამ დაუდევრობამ შედგვი ისევ მათ საზიანოდ მისცათ. ახლა გაფუჭებული საქმის გამო სწორებას, არცთუ ცოტა ფულიც დასჭირდა და სოფლის პროგრამით გათვალისწინებული თანხებიდან გამოყვეს იგი. “ნაწერტმა წყალმა, ეზოსა და ქუჩაში რომ დგება, სახლი ლამის დამინგრია, კედლები ჩამოიშალა და დიდი

ხანი არაა, რაც განვახსნით. არხები, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ კარგა ხანია არ გაწმენდილა და აღარ არსებობს. ეს დიდ პრობლემას ქმნიდა. ალბათ, ახლა გვეშველება, რადგან შესაბამისი სამუშაოები დაიწყო.” ამბობს სოფლის მკვიდრი ნინო ჯვარშიაშვილი.

ვაჟა კონხრეიძე კი ქალაქიდან ჩასულ ხელმძღვანელებს მიმდინარე სამ-

უშაოების სანახავად, რიონის პირას დათესილი ყანებისკენ ეახლებება. ეს ის ადგილია, რომლის მიმდებარედაც გაეროს დაფინანსებით არასამთავრობო ორგანიზაცია ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია “ელკანამ” ბიოტექნოლოგიები გააშენა. რიონის სანაპიროზე ეს განსაკუთრებით საჭირო გახლდათ, რადგან, ცნობილია, რომ ტყე ყველაზე საიმედო ბუნებრივი ნაპირსამაგრიია. გარდა ამისა, ამ კომპანიამ ორი ათას მეტრზე სახნავ სათესი ფართობის შემოსაღობი მასალა უსასყიდლოდ გადასცა სოფელს. ამაში სოფლის მაჟორიტარის, პაატა კონხრეიძის დიდი მონდობა დევს. კომპანიასთან საკითხი მან დააყენა და სამუშაოები მისი უშუალო მეთვალყურეობით მიმდინარეობს. ამ 100 ჰექტარიან ფართობზე აქამდე 25-30 ჰექტარი თუ იხენებოდა, რადგან პირუტყვი ყანას აჩანავებდა და მოსახლეობა ფუჭ შრომას, რა თქმა უნდა, თავს არიდებდა. ბოძები მესრის გასაჭიმად უკვე დაისო. ადგილობრივები თავად მუშაობენ, რითაც თანხაც დაიზოგა. იანეთში გამგებლის წარმომადგენელი ვაჟა კონხრეიძე საუბრობს იმაზე, რომ “მოსახლეობამ სოფლისთვის სასიცოცხლოდ საჭირო საკითხებზე გააკეთა აქცენტები. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხა რაციონალურად განაწილდა. წელს სამუშაოების ერთ ნაწილს ვამთავრებთ, გაისად კიდევ სხვას მოვაკლებთ. საქმე ბევრია, მთავარია, შესაძლებლობა და მონდობა გვქონდეს, რომ

პრობლემები მოვაგვაროთ.”

სულ თემისთვის გამოყოფილი 42 ათასზე მეტი ლარიდან, 17 ათას ლარად ინფრასტრუქტურული სამუშაოები საბავშვო ბაღში მიმდინარეობს. გარდა ამისა, შეიძენენ ინვენტარს ამ დაწესებულებისთვის. სოფლის ერთ-ერთ უბანში 3 ათას ლარად განათების სამუშაოები ჩატარდა, 7 ათასი საფანე ფართობების შემოსარავად საჭირო ღირსსა და სხვა მასალას დასჭირდა, დანარჩენი კი არხების გაწმენდა-ადგენისთვის გადადეს. ეს წელს, გაისად კი საკეთებელს რა დალევს სოფელში და საქმეც სხვა იქნება და მოთხოვნილებაც.

მუნიციპალიტეტის გამგებელი მოსახლეობასაც გაესაუბრა და მისი წარმომადგენლისგან სამუშაოების მიმდინარეობასა და ხარისხზე განმარტებები მოისმინა. კომენტარში კი განაცხადა, “არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვითვლი, მთავარი ხარისხია, ფული წყალს არ უნდა გავატანოთ. წელს საკეთებელს გაისად მიბრუნება აღარ უნდა დასჭირდეს. კმაყოფილი ვიქნებით თუ არა, მაშინ გამოჩნდება, დასრულებულ სამუშაოს რომ გადავავლებთ თვალს და მისგან სარგებელს მივიღებთ.”

სოფლის მხარდაჭერით მიმდინარე სამუშაოები იანეთის თემში ამჯერადაც მიმდინარეობს. ვაჟა კონხრეიძე თანასოფლელებს და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს მათი დროულად და ხარისხიანად დასრულების იმედს აძლევს.

მოქალაქეებს თუ არა განუვადობს?

ნათია ნაცვლიძე

გარეგანობა ჩვენს მუნიციპალიტეტში, უკვე რამდენიმე ხელისუფლების ხელში აქილევსის ქუსლად იქცა. პრობლემა ვერა და ვერ აილაგა. საერებულო 3 აკვისტოს რიგგარეშე სხდომებზე დეპუტატებმა გარე ვაკრობის რეგულირების წესის და გარე ვაკრობის უფლების საფასურის დადგენის შესახებ იმსჯელეს. საკითხი სხდომაზე იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძემ გამოიტანა.

საკრებულომ დაადგინა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაკრობის უფლების საფასური შემდეგი საქმიანობის ტიპების მიხედვით:

ა) ნაყინი, გამაგრილებელი და გაზიანი სასმელები და ლუდი – აღნიშნული ტიპის პროდუქციით დაკავებული ტერიტორიის 1 კვ. მ-ის საფასური თვეში განისაზღვრება 30 ლარის ოდენობით.



ბ) სასაფლაოს ობიექტების წინ, სასაფლაოს დანიშნულების საკონკრეტო შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით (მაგნიტები, სკამები, საწრდილობე-

ლი ქოლგები და ა. შ.) დაკავებული ტერიტორიის 1 კვ. მ-ის საფასური თვეში განისაზღვრება 5 ლარის ოდენობით.

გ) ყველა სახის სწრაფი გადახდის ავტომატები, ატრაქციონები და სხვა აპარატები – აღნიშნული ტიპის პროდუქ-

ციით დაკავებული ტერიტორიის 1 კვ. მ-ის საფასური თვეში განისაზღვროს 40 ლარის ოდენობით.

იმედა გოგავამ თავის გამოსვლაში აღნიშნა: “ჭანტურიას ქუჩა – ესაა ანტი-სანიტარიის მწვერვალი, იქ შემენილი საკვებით შეიძლება ადამიანი ისე მოიწამლოს, ფატალური შედეგი დადგეს. რამდენიმე წელია, ვეძებ პასუხისმგებელ პირს, და ვერ მივაკვლიე, არც შპს “მოგზაური” დეპუტატებს პასუხისმგებლობას თავის თავზე. ვერც შევარდნაძის, ვერც წინა ხელისუფლებამ ვერ მოაგვარა, პრობლემა თუ ჩვენ შევძლებთ მის მოგვარებას, ეს დიდი საქმე იქნება”.

მომხსენებელმა მანანა სირბილაძემ აღნიშნა, რომ სულ მალე ჭანტურიას ქუჩაზე იწყება გზის სამუშაოები და სავსებით შეუსაბამო იქნება შემდეგ გარემოვაჭრეების საქმიანობა. მისივე თქმით

მათ გაფრთხილებასთან ერთად მიეცემთ გარეგანული ვადა. ეს ერთ კვირაში ვერ გადაწყდება, მაგრამ საკითხი ეტაპობრივად უნდა მოაგვარონ. “შპს მოგზაური” ადმინისტრაციაც უნდა გაფრთხილდეს, თუ მათ ტერიტორიაზე მსგავსი განმეორდება, ისიც დაჯარიმდება. საკითხის მოგვარებაში უნდა ჩაერთონ როგორც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, პოლიცია, ისე შპს “მოგზაური” და ბაზრის ადმინისტრაცია”. – აღნიშნა მანანა სირბილაძემ.

ემზარ შუბლაძემ 30 ლარიანი გადასახადის დაწესება გააპროტესტა. გამოთქვა ეჭვი, რომ ბევრი მალანია მის გადახდას ვერ შეძლებს.

სხდომაზე ასევე დაადგინეს ავტომატების პარკირებისათვის გათვალისწინებული 22 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ქირის საწესის საფასური და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული რამდენიმე ობიექტი საპრივატიზაციო ობიექტად განისაზღვა.

ჩოცა ეჭვი გონივრულია, მსოფლიო ბანკის ჰიოქსი შესაცვლია!



თბა ბაგუნაშვილი

რესპუბლიკის ქუჩაზე და მისი მიმართულებით მიმდინარე სამუშაოები, უკვე კარგა ხანია, მოსახლეობის ყურადღების ცენტრშია. ასფალტბეტონის საფარის რეაბილიტაცია, წყალსარეგები არხებისა და ტროტუარების შეკეთება ორ თვეზე მეტია მიმდინარეობს და მითქმამოთქმისა და ექვების საბაბი ხდება. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოში, მხელად, რომ გაკეთებული საქმე მოსაწონი იყოს და ათასი კუდი არ გამოეგებას, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ეჭვი გონივრული და მოსახლეობის უკმაყოფილება გამართლებულია. თუმცა, ეს მაშინ, თუ სამუშაოები ისე გაგრძელ-

და, როგორც დაგეგმილი, უფრო სწორად, დაპროექტებულია.

ადამიანები, ვინც უშუალოდ გაცემენ დამაკმაყოფილებელ პასუხებს კითხვებზე და ექვებსაც გააქარებენ, ვერ მოვიხელოთ სასაუბროდ. ამიტომ იმათი პასუხებით დაკმაყოფილდით, საქმეში გარეგნულები და ჩახედულები რომ არიან, პრობლემის გადაწყვეტა კი არ შეუძლიათ. ამას თავადაც სწუხან, მაგრამ ვერაფერს გააწყოებენ და აი, რატომ – გზის ეს ნაწილი ანუ, სამტრედია-ქუთაისის მაგისტრალის 35-ე-40 კილომეტრი, ჭაგნის გადმოსახვევიდან ქალაქის მესამე საჯარო სკოლამდე, საგზაო დეპარტამენტის დაქვემდებარებაშია. რადგან ადგილობრივი დანიშნულების გზა

არ არის, მასზე პასუხისმგებლობას მუნიციპალიტეტის ხელისუფლება ვერ აიღებს და ბუნებრივია, ვერც სამუშაო პროცესებში ჩაერევა. თუმცა, მოსახლეობის ეჭვს, რომ საწრეგები არხების ამბლებების და დაფორმების შემდეგ წყალი ქუჩის მიმდებარე მცხოვრებლების სახლების ეზოებში დადგება, უსაფუძვლოდ არ მიიჩნევს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია: “პროექტირებისას არ არის განსაზღვრული, მოსახლეობიდან გადმოსული წყლის ჩაინება საწრეგებ არხებში, ასევე არ არის გათვალისწინებული წყალკანალის სისტემის დაერთება, რომელიც გადის ამ არხებში. პროექტის შედგენისას ასევე არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი რელიეფი, დამპროექტებლები ნამყოფიც კი არ არიან ადგილზე.” – ამბობს იგი და ექვე აღნიშნავს, რომ პრობლემის აღმოსაფხვრელად არაერთხელ მიმართა ადგილობრივმა შესაბამისმა სამსახურებმა, როგორც საგზაო დეპარტამენტს, ისე მხარის გუბერნატორს, რომ მისი შუამდგომლობის საფუძველზე მოავლინონ საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რათა პროექტში კორექტირება შევიდეს.

კორექტირება კი აუცილებლად სჭირდება პროექტს! რაც შეეხება უკვე არასწორად გაკეთებულს, საგზაოდ, თავიდან გასაკეთებელი იქნება. საწრეგები არხები, როგორც ზურაბ გოგია გვიხსნის, “პროექტში ნაწილ ტერიტორიაზე იყო ჩასმული და ნაწილზე არა, აგრეთვე, გადასასვლელი ბოგირები. ყველა ამ უზუსტობის აღმოსაფხვრელად გამგებლის ხელმოწერით არაერთი წერილია

შესაბამის სტრუქტურებში გაგზავნილი და პასუხს ელოდებიან. ჯერჯერობით მუშაობა მაინც გრძელდება. უფრო კომპეტენტურ პასუხებს კითხვებზე იმ შემთხვევაში შემოვიტყავებო, თუ სამუშაოს შემსრულებელი კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრას მოვახერხებთ. რადგან იგი სამტრედიაში კომპანია არ არის, მათთან შეხვედრა თითქმის წარმოუდგენელია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი არაერთი მცდელობის მიუხედავად, მათ კოორდინატებს ვერ მივაკვლიეთ. დაპირებულ დარჩენილი დაპირება მშენ-

ბელი ორგანიზაციის ხელმძღვანელთან შეხვედრაზე არაერთხელ გეგმილია. მისი ტელეფონის ნომერიც ჩვენთვის გასაიდუმლოებული გახლავთ.”

რაც შეეხება მონაკვეთს მესამე საჯარო სკოლიდან ქალაქის მიმართულებით, ანუ ადგილობრივი გზების ნუსხაში არსებულ ტერიტორიას, როგორც ზურაბ გოგიამ განაცხადა, ყოველ მიზეზ-გარეშე ჩაისმება რომელიმე პროექტში და უახლოეს მომავალში სათანადოდ შეკეთდება.

სასამართლო გადაწყვეტილება ბურჯანაძის წინააღმდეგ!

“NEW POSTS”-ის ინფორმაციით, სასამართლომ “გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის” პარტიის თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე პარტიის თავმჯდომარეობიდან გადააყენა. სასამართლო “ქრისტინა-დემოკრატიული” მოძრაობის წევრთა ერთი ნაწილის სარჩელს განიხილავდა, რომლის თანახმად 2014 წლის 6 მაისს ჩატარებული პარტიის ყრილობა არალეგიტიმური გახლდათ, რადგან მას არ ესწრებოდა პარტიის წევრთა დიდი ნაწილი. მოსარჩელე მხარის სახელით გონა ჯოჯუა განმარტავს, რომ სასამართლო უკვე რვა თვეა მიმდინარეობს. “ყრილობა სადაც ნინო ბურჯანაძე იყო არჩეული “ქრისტინა-დემოკრატიული მოძრაობის” თავმჯდომარედ, დარღვევებით ჩატარდა. მას მხოლოდ 11 “ქრისტინა-დემოკრატი” ესწრებოდა. დანარჩენები არაუფლებამოსილი პირები და ბურჯანაძის პარტიის წევრები იყვნენ. სწორედ ეს იყო ჩვენი დავის საგანი. 8 თვის წინ დავეწყეთ სასამართლო დავა. შევავრთეთ პარტიის წევრთა ხელმოწერები და შევიტანეთ სარჩელი სასამართლოში. ეს პროცესი დასრულდა და სამართალი აღდგა.”



პარტიის სამტრედიის ორგანიზაციის თავმჯდომარე, მამუკა მხეიძე აღნიშნულთან დაკავშირებით მოკლე კომენტარს აკეთებს: “ბურჯანაძის მიმართ ინტერესი ყოველთვის იყო და იქნება. დავის დასრულებასა და საუბარი ჯერ ნაადრევია, წინ აველაცია და კიდევ სხვა პროცედურებია. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, ეს ნინო ბურჯანაძისადმი ინტერესის კიდევ ერთი მაგალითია და რაც უფრო მალე გაიგებს საზოგადოება, რომ ეს პოლიტიკური ფიგურა სჭირდება ქვეყანას გადასარჩენად, მით უკეთესი იქნება მისთვის. ეს “ქრისტინა-დემოკრატიული მოძრაობის” ერთი ნაწილია და არა მთელი პარტია. მოდით, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, ნაადრევ დასკვნებს მოვერიდებით.”

თბა ბაგუნაშვილი

ლეიკემიით დაავადებული პატარებისათვის სისხლი გაიღეს




მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში 5 აკვისტოს იაშვილის კლინიკის ლეიკემიით დაავადებული პატარა პაციენტებისთვის სამტრედიელებმა სისხლი გაიღეს. აქცია 11 საათზე დაიწყო და 5 საათამდე გაგრძელდა. კლინიკის სისხლის ბანკს დაეთო ლოლიამ-გილი ხელმძღვანელობს. თათია ვაჭრიძემ, სისხლის ბანკის მენეჯერმა “სამტრედიის მაცნეს” განუცხადა: “ამ აქციის ორგანიზატორები არიან ამ კლინიკის პატარა პაციენტის, გვარად, ხაჭალიას მამა და ახლობლები, რომლებიც სამტრედიელები არიან, სწორედ ამ პაციენტი გოგონას ახლობლები და ოჯახის წევრები უწევენ აქციას ორგანიზებას. მასში ჩაერთვნენ ასევე სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები და მოსახლეობა. საკმაოდ ბევრია სისხლის გაღების მსურველი, იმედია, კმაყოფილი წავალთ და ავიღებთ საკმარის რაოდენობით სისხლს, რომ მეტი დამზადდეს ამ ბავშვებისთვის კომპონენტები, გეგმილდეს სისხლის მარაგი და



არ შეგვექმნას ლეიკემია”. დავით ხაჭალია: “სამტრედიელები, გელოვანის ქუჩაზე ვცხოვრობ, ჩემი შვილი იაშვილის კლინიკაში მკურნალობს, იქ პერიოდულად სჭირდებათ სისხლი, კიდევ ერთი სამტრედიელი პაციენტი იქ, გვარად დოლიძე. შევუთანხმდით სისხლის ბანკს და მოვაწვეეთ

ერთობლივი აქცია: “გავიღოთ სისხლი ლეიკემიით დაავადებული პაციენტებისათვის.” ეს იდეა შევათანხმეთ მუნიციპალიტეტის გამგებელთან, იდეა მოგვიწონეს, დაგვიდგინა გვერდით. დიდი მადლობა ყველას მხარდაჭერისათვის”.

ნათია ნაცვლიძე



თქვა ბავშვანაშობი

შვიდი წლის წინ... და დღეს შინდისში საფლავებს შორის ტირის ქარი, ტირის ქალი, დედა, ცოლი, შვილი. აგვისტო იყო მაშინაც, საკუთარი მამაცობით მტერი რომ გააგვირგვინა. სისხლისგან ჯერ არ დაკლიდა ქართული მიწა, რადგან საუკუნეებია ინახავს მას, სამშობლოს გადასარჩენად დაღვრილს. გადასახედი დღევანდელი და გუშინდელი, შეცვლილი ძირი და ღირებულება საქართველოს უახლეს ისტორიას საკუთარ ნიშნად ექცა. გინც გუშინ მტერი იყო, დღეს მოყვარე გვერდია და პირიქით. არადა, ერთმანეთთან ჭიდილში ქვეყანა ხელში გვეყვება და "დიდი გამოღვი-

ბება", ხშირად ტერმინად რომ გვხვდება ისტორიულ წყაროებში, კარგა ხანია, არ უთქვამს დღევანდელი მემკვიდრის. კომენტარებში, 2008 წლის აგვისტოს თმთან დაკავშირებით რომ მოგვცეს რესპონდენტებმა, იმდენი პოლიტიკაა, ამ წინასიტყვაობაში თავს შევიკავებთ მასზე საუბრისგან. უბრალოდ ვიტყვი, ისევ მოვიდა მ აგვისტო, ომის ტიფილით და მისი გმირების მონატრებით. მოვიდა, მტყუან-მართლის გარჩევის კი არა, ქვეყნის გადარჩენისთვის ფიქრის დროდ. ჰოდა, ქართველებო, საკუთარი ქვეყნის ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი, ღირსეულად გადასამლეული, ახლებურ-ძველებურად კი არა, ღირსებით უნდა წავიციოთო.



ვალერი ფოცხვერია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი: დიდი და მძიმე, მოუშუშებელი ჭრილობა ჩვენი სახელმწიფოსთვის ეს არის აგვისტოს ომი! იგი დღესაც გვახსენებს თავს სახლურების გადმოწევის. ისეთი განცდა მაქვს, საქართველოში კი არა, მის დანაწევრებულ ნაწილში ვცხოვრობ უაფხუზეთოდ, სამხრეთის გარეშე. ომი არასდროს არის გამართლებული. პოლიტიკოსები ორიენტირებული უნდა იყვნენ თავიდან აიცილონ ასეთი პროვოკაციები. დღეს ბევრს მსჯელობენ, ვინ დაიწყო ომი 2008 წელს, მაგრამ ფაქტია, რომ მან გაართულა ისედაც დაძაბული ურთიერთობები. მაშინდელ პოლიტიკოსებს, როგორც ქართულ, ისე იმ მხარეს, საუკუნეზე მეტია, რომ გვებრძვის, დრო ამანე მკაცრად მოსთხოვს პასუხს. პოლიტიკოსები იმდენად არსებობენ, რომ საკუთარი ქვეყანა ამგვარი ლაბირინთებიდან უმსხვერპლოდ გაიყვანონ, მაგრამ სადაც საომარია, იქ უნდა იმოდ.

ეს ვგამო მებზობელს ბრჭყალებში? – არ ვსვამთ, მებზობელია, ოღონდ, აგრესორი მებზობელი. რაც უფრო მეტად ვხედავთ სულ დასავლეთისკენ, იგი უფრო აგრესორი ხდება, რადგან აგრესიის გარდა სხვა ბერეკტი არ დარჩა. ამიტომ მეტად გემართება დაფიქრება. ძალიან რთული იქნება ეს ერთი წელი, რადგან მომავალი წლის ივლისში ვარშავის სამიტი იმართება, რომელზეც მათი მიღების დიდი შანსი გვაქვს. ეს კი ნატოს წევრობის ოფიციალური გარანტიაა.

რამდენად ახლოს დგახარ სახელისუფლებო წრესთან.

კახა ქუთათელიძე, "რესპუბლიკური პარტიის" წევრი: ეს რუსეთის პროვოკაცია გახლდათ. ერთმნიშვნელოვნად სააკაშვილის დადანიშნულება სასაცილოა. პოლიტიკურად იქნებ ვინმესთვის მომგებიანი იყოს, მაგრამ მოვლენების ამგვარად განვითარება გარდაუვალი იყო, დღეს არა, ხვალ ასე მოხდება. ჩემი სურვილი იქნებოდა, იგი უფრო ღირსეული ომი ყოფილიყო. ზოგი თვლის, რომ აზრი არ ჰქონდა ამ ომს, მაინც წავაგებდით. მშვიდობას ფასი არ აქვს ჩვენითვის მაშინ, როცა არ ვიმობთ. თუცა, ომიც და მშვიდობაც ღირსეული უნდა იყოს. ვინც რუსულ მედიას ეცნობა, დამოთანხმება, რომ სხვადასხვა სიბრტყეში ვიმყოფებით. ის ეტაპი, რასაც რუსები გადიან, ჩვენ უკვე გავიარეთ და ეს ჩვენმა თაობამ ყველაზე უკეთ იცის. აუცილებელია, მათაც გაიარონ ეს. რუსეთთან ერთად სომხებსა და აზერბაიჯანელებსაც გასავლელი აქვთ. ეს ქვეყნები ღირებულებებითაც სხვადასხვანაირად, კომუნისტურად აზროვნებენ. სხვათა შორის, სააკაშვილსაც ჰქონდა ამგვარი აზროვნება, თუ ჩემსავით არ ფიქრობ, ჩემიანი არ ხარ, მტერი ხარ. კოპაბიტაცია რატომ იყო საჭირო, ხალხი უკვე გვხვდა, ამ ნაბიჯით ახალი შუღლი და ბოლმა არ დაინერგა ქვეყანაში. არადა, თავიდან ამის გამო საზოგადოება ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი იქნება ჩვენი ერთი ვიყავი და ჩვენთან არ იყო სხვა. დღეს ვიცით, რომ სხვა ერებიც არაფრით ჩამოგვივარდებიან. რუსეთი დღეს გადის ამ ეტაპს და უფრო საშიშს ხდის ეს მას, რადგან დიდი ქვეყანა იგი და მისი ამგვარი თავმოწინაა ფაშისმის ზღვარზე გადის. რაც შეეხება აგვისტოს ომს, იდეოლოგიური ფონი არ არის ქვეყანაში ისეთი, რომ ამ ომის გმირების ღვაწლი დაფასდეს. ჩვენთან ლამა თევზადის სახელობის სკვერია. გამგებობა კი არ უნდა ავალებდეს ვინმეს მის გაწმენდას, საზოგადოება თავად უნდა აკეთებდეს ამას. ამ ომის გმირები თანამედროვე გმირები არიან და მათი გმირობა დღეს უნდა

დაფასდეს, საუკუნეებს რომ ახსოვდეთ შემდეგ. ამიტომ დღეს უნდა ვასწავლოთ ჩვენს შვილებს, ვინ იყვნენ ისინი.

ემზარ შუბლაძე, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე: მაშინ ხელისუფლებას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ პასუხი გაეცა რუსეთის აგრესიას. იმ პროცესებს, რაც იქ 8 აგვისტომდე მიდიოდა, შეჩერება სჭირდებოდა. თითქმის ყოველდღე იბომბებოდა სოფლები, რამდენიმე პოლიციელიც დაიღუპა. ახლანდელი ხელისუფლების მხრიდან იმანე საუბარი, რომ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა, აბსურდია. მით უმეტეს, რომ დღეს სახეზეა პექტრობით მიტაცებული მიწები. ეს რუსეთის მხრიდან დაგეგმილი ომი გახლდათ იმის გამო, რომ აგრესორი ქვეყანა ქართველი და ოსი ხალხის დაახლოებას ხედავდა. ცხინვალზე უფრო თამარაშენში გახლდათ ინფრასტრუქტურა განვითარებული. იქ ფუნქციონირებდა უდიდესი გასართობი ცენტრი და "ელიტ-ელექტრონიკის" დიდი მაღაზია. ცხინვალთან აქ გადმოდიოდა საჭირო ნივთების შესაძენად და დასასვენებლად, რაც ხალხის დაახლოებას უწყობდა ხელს და სწორედ ეს ვერ აიტანა რუსეთმა. იმას, რასაც ბოიკოვების საშუალებით აპირებდნენ, ქართველმა ჯარმა იმხელა წინააღმდეგობა გაუწია, რომ ომი გაჩაღდა. იქნებ ის ბრძოლა წავაგეთ, მაგრამ ომი გრძელდება, რომლის არმოგებაც კატასტროფა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენი ხელისუფლების მხრიდან კი ამ ცივი ომის წინააღმდეგ მიმართული დამოკიდებულება არ ჩანს, ძალიან ლოიალურები არიან რუსეთთან.

მერე კი, ანწუხელიძის სამშობლოდან ვართო, თავს იწონებენ. მტრის და ქართველი კაცის პოზიცია ერთმანეთს არ უნდა დაემთხვეს.

გივი ლაღანიძე, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი: ზოგიერთის მახსოვრობა ლალატობს და ყველაფრის ათვლას 2008 წლიდან იწყებს. არ უნდა დაგვაიწყდეს, რუსეთი 2008 წელს არ გამხდარა საქართველოს მტერი, დაიწყო 1921 წელი, 1924, 1937, 1956, 1989, 1991, 1993 წლები...

თქვენ ყოფილი კომკავშირელი და კომუნისტი არ ბრძანდებით, ბატონო გივი, ანუ მათი რიგებიდან, რომელთა მზეც ჩრდილოეთიდან ამოდიოდა?

ვისი მზეც მაშინ ამოდიოდა ჩრდილოეთიდან, დღესაც ამოდის! ჩვენ, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენი ღირებულებები გვექონდა და გვაქვს. ეს ოპერაცია რუსეთის მხრიდან წინასწარ მომზადებული გახლდათ. ყველა ფაქტზე მეტყველებს. ამ ომმა ისიც დაგვანახა, რაც მანამდე ამდენად თვალსაჩინო არ იყო. ძნელი და ამასთანავე საამაყო, ამ ომში დაღუპულთა ახლობელად ყოფნა. ყველამ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა საკუთარი შეილებიდან და შევიღვივების წინაშე. ის, რასაც დღეს გვეყვითებს და დღემდე გვეყვითება რუსეთი, ნათელი მაგალითია მისი ზრახვებისა და სურვილების ჩვენი ქვეყნის მისამართით. ქართველებს მტრისთვის და მოყვრისთვის გასაცემი პასუხი ერთმანეთში არასდროს არევა. ერთი კაცის თავზე არ უნდა გადაიაროს ამ პასუხისმგებლობა. ეკვი არ შეგეპაროთ, დღევანდელ კითხვის ნიშნულზე პასუხისმგებლობა ხვალ ხელისუფლებას რომ დაეკისრება. როცა თავად ოპოზიციამ იყვნენ, ერთ თვითმფრინავს რომ გადმოეფრინა ჩვენს მხარეს, რა განცხადებებს აკეთებდნენ, დღეს აღარ ახსოვთ. ახლა ლამის თბილისამდე ჩამოიჭრნენ სახლურები. მე მაშინდელი და დღევანდელი ხელისუფლების გვერდით ვდგავარ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, რადგან ეს ერთის კი არა, ჩვენი ქვეყნის პრობლემაა.

ნუგზარ ჯამბურია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: აგვისტოს ომი ჩვენი ქვეყნისთვის მძიმე ტკივილად დარჩა. ჩემი გადასახედიდან შესაძლებელი იყო მისი თავიდან აცილება. კარგი იქნებოდა, წინა ხელისუფლებას ეს მოეხერხებია. რაც მოხდა, უკვე შეუძლებელია, შეცვალო. ომმა ის ახალგაზრდები შეიწირა, რომელთაც თავისი სიტყვა უნდა ეთქვათ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. მათ თავისი ყველაზე დიდი განძი, სიცოცხლე შეიწირვეს ქვეყანას.

ხელისუფლება არ თვლის, რომ რუსეთი აგრესორი მებზობელია და მათი საქართველოსთვის, მინიმუმ, რამის მომტანია.

თემას გადაყვებით, მაგრამ ასეთ შემთხვევაში რამდენად მყარია ეს კოალიცია?

ეს კოალიცია ღირებულებებზე შეიქმნა და "რესპუბლიკელები" მასში იმდენად აღმოჩნდნენ, რომ მან თავიდან აღიარა ევროპული კურსი. აღიარა და აღიარებს! ნებისმიერ ადამიანს და მით უმეტეს, პოლიტიკოსს, აქვს უფლება, თავისი შეხედულებები გამოთქვას, მაგრამ შემდეგ ამომრჩეველი გადაწყვეტს, მას მისცეს თუ არა ხმა. მეჩვენება და ალბათ, არა მარტო მე, რომ დღეს ძალიან გააქტიურდა პრორუსული ძალები. რადგან საარჩევნო წელი მოდის, კიდევ უფრო გააქტიურდებიან, რადგან ბოლო შანსი ეძლევათ გამოგვეგვიჯონ დასავლეთს. მე ქართველი ხალხის იმედი მაქვს, იგი შინაგანად ყოველთვის მიიღებს უკეთესობისკენ, მისთვის უცხობა ტირანია და თუნდაც, ეკონომიკური დესპოტიზმი, რაც არის რუსეთში, სადაც ოლიგარქიული მმართველობა და ფულის შოვნა დამოკიდებულია იმანე, თუ

– თუ ომი არასწორი იყო, რატომ

“თბილისის უფლებამოსიანი, მეზობლები გმირები არიან”

6064 ნაწილობრივი

ლაშა თევზაძე, ლევან მელქაძე, მარლენ ბარამია და ავდიო ლომიძე – ამ ოთხი ახალგაზრდა მამაკაცის გვარი და სახელი 2008 წლის აგვისტოს ომში გამოვეთქა. 7 წელია, რაც ისინი ემბრუხად შეირაცხნენ და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დამცველთა სიაში საბაბით აღვიღებთ დაიძვედრეს.

ომმა ბევრი სხვა ადამიანის მსგავსად ლაშას, ლევანის, მარლენისა და ავდიოს სიცოცხლეც შეიწირა. მართალია, მათ თავგანწირვას შედეგი არ მოჰყოლია, ვერ დაეებრუნეთ დაკარგული ტერიტორიები, თუმცა, ქართულმა გენმა და ჯიშმა სისხლის ფასად დამპყრობლის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და შეასწენა მტარვალს, რომ ქართველები არასოდეს შეეგუებოდნენ მონობას.

ოთხი ახალგაზრდის ოჯახს სამტრედიის მუნიციპალიტეტი 2009 წლიდან მოყოლებული დღემდე ყოველი წლის აგვისტოს დასაწყისში პირად ანგარიშ-

ზე 500-500 ლარს ურიცხავს. გამოჩენილი არც 2015 წელი აღმოჩნდა. ლევან ახობაძე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: “2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ოჯახების ფინანსური დახმარება” – პროგრამა ამ სახელწოდებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს. რაც გვყავს 4 დაღუპული ახალგაზრდის, მარლენ ბარამიას, ლაშა თევზაძის, ლევან მელქაძისა და ავდიო ლომიძის ოჯახი. 7 აგვისტოს თითოეული მათგანის პირად ანგარიშზე 500-500 ლარი ჩაირიცხა. ამ ფორმით და მოერძალებული თანხით ჩვენი ადგილობრივი ხელისუფლება გამოხატავს დაღუპული მემკვიდრე ბიჭებისადმი პატივსაცემას, რომ მათ ნათელ ხსოვნას სამტრედიის მუნიციპალიტეტი დაეიწვიას არ მისცემს. მათგან სამი – მარლენ ბარამია, ლევან მელქაძე და ლაშა თევზაძე ცნობილი, შინდისთან ბრძოლის მონაწილეა. სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გმირულ ბრძოლასა და თავდადებაზე მთელი ქვეყანა ალაპარაკდა. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი თანაქალაქელებს და შესაძლებლობის ფარგლებში მათი ოჯახების გვერდით ვდგ-

ვართ. ათასი რამ ითქვა 2008 წლის აგვისტოს ომზე, ვინ რა შეფასება არ მისცა, მე, პირადად, როგორც ყოფილ მეომარს, მაქვს ჩემი სუბიექტური პოზიცია – ომი ხელისუფლებამ წააგო, მეზობლები და დაღუპულები ყველანი გმირები არიან”.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილე 433 კაცი ფიქსირდება. როგორც სამსახურის უფროსი, ლევან ახობაძე განმარტავს, უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა ზუსტი ციფრის გამოყოფა შეუძლებელია. საგარეოდ, რაოდენობა გაზრდილია იმ პირობებით, რომლებიც იმ პერიოდში გორისა და გორის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. ისინი, ჯერჯერობით, არანაირი სახის დახმარებას არ ღებულობენ. გათავისუფლებულები არიან. დაუზუსტებელი ინფორმაციით მიმდინარე წლის სექტემბრიდან ხელახალი აღრიცხვა იწარმოებს. არის საუბარი, ომის მონაწილეებს, რომლებსაც ჰყავთ სტუმრული შეილები, მათ დასაფინანსებლად სხვადასხვა სახის შედარებით განხორციელებ-



განსხვავება

ქვეყნდება “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის N1-1/303 ბრძანების საფუძველზე:

სამტრედიის-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 42+000-კმ51+570 მონაკვეთზე დაგეგმილია პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოსყიდვა და სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირება. შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, რომელიც წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ უწყებას, სამტრედიის-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 42+000-კმ 51+570 (ლოტი IV) მონაკვეთისათვის დამუშავდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა. განსახლების გეგმით გათვალისწინებული იქნა მშენებლობის პროექტის შემოქმედების არეალში მოხვედრილი უძრავი ქონების მესაკუთრეების მიმართ საკომპენსაციო თანხების ანაზღაურება. შემოადინებული პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკ-

უთრებაში არსებული 2 ერთეული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მესაკუთრეებთან, მაგრამ ვერ იქნა მიღწეული შესაბამისი შეთანხმება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წერილობით შესთავაზა განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კომპენსაციის მიღება, რაზეც წერილობითი უარი იქნა მიღებული. ამავ უარით მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ უარის შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიმართავდა სასამართლოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ომის გათვალისწინებით, რომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, არსებობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის საჭიროება “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად. ამავ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად 2015 წლის 17 ივლისის გამოცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/303 ბრძანება, რომლის თანხმად 2 ერთეულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2015 წლის 30 ივლისს).

შემოადინებულიდან გამომდინარე, 2015 წლის 17 აგვისტოსთვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოპოვოს ექსპროპრიაციის უფლება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და განცხადების განხილვის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის N1-1/303 ბრძანებით განსაზღვრული მესაკუთრეების ჩამონათვალი, რომელთა ქონებაზეც უნდა გავრცელდეს ექსპროპრიაციის უფლება:

1. ლაშა ტულუშის (პ/ნ: 26001001189) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 27.15. 50. 004, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართობი 7503 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართობი: 1541 კვ.მ;
2. ზვიად სარალიძის (პ/ნ: 26001000487) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 27.15. 50. 001, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართობი 5448 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართობი: 1007 კვ.მ.

70 წელი გავიდა

ლეონი ბაბიჩი

მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იაპონიაში ატომური ბომბები ჩამოყარა. 1945 წელი, 6 აგვისტო, პიროსიმას დროით 8 საათსა და 5 წუთზე მამინ, როცა ხალხი ცხოვრების ყოველდღიური რიტმით აგრძელებდა არსებობას, პიროსიმას თავზე ატომური ბომბი “პაწაწინა” აფეთქდა.


ამ ვანდალურმა ამბავმა 78 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანები, ბავშვები, მოხუცები... დაინგრა, ფერფლად იქცა შენობა-ნაგებობების 90 პროცენტი.

ხანძარი მოელო 11,4 კვ. კილომეტრ ფართობს. იაპონელები, კაცობრიობა ჯერ კიდევ ვერ მოსულიყვნენ გონს მომხდარი სამხედროების გამო, რომ ისევე იაპონიაში უარესი ტრაგედია განმეორდა.

9 აგვისტო, 1945 წელი. 11 საათი ადგილობრივი დროით. მიწის ზედაპირიდან 469 მეტრზე აფეთქდა ნაგასაკის თავზე ატომური ბომბი “სქელუნა”.

ყველაფერი პირწმინდად განადგურდა. დაიხოცნენ ადამიანები, სულიერი არსებები, დაინგრა, ფერფლად იქცა მთელი ქალაქი. ცივილიზებულმა სამყარომ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მსოფლიოში მოქმედი კონფერენციების წარმომადგენლებმა ერთხმად დაჰკმევს ამერიკის შეერთებული შტატების ეს ვანდალური საქციელი.

მამინდელი სტატისტიკის მიხედვით მატერიალური ზარალის რაოდენობამ ათეული მილიონი დოლარი შეადგინა.



მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამ ამბებს. სხეულის უძლიერესი დამწვრობა, ძლიერი დასხივება მიიღო ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა. მომხდარმა ფსიქოლოგიური შოკი გამოიწვია იაპონიაში. მნიშვნელოვნად შესამჩევნი გახდა იაპონელთა სიცოცხლის ხანგრძლივობის მრუდის კლება ამ რეგიონებში.

ერთი სიტყვით, 70 წლის წინ იაპონიაში, პიროსიმასა და ნაგასაკში სამხედრო მხიბვა და დღეს, 7 ათეული წლის შემდეგაც კაცობრიობა ისევ გმობს ყოველგვარ აგრესიას, როგორც მამინ, როცა ეს გაუგონარი ფაქტი მოხდა.

ასეთი იყო “პაწაწინასა” და “სქელუნას”, “ნადავლი”! უარი ძალადობას! მშვიდობა მსოფლიოს! მნიშვნელობა არ დაუკარგავს ამ სიტყვებს.



იყმონისტი უქტორი ხამჯრუიიოჯან

ნამოთ ნაცვლოჯიო

“სამტრედიაში ქართული პარლამენტარიზმის აუკანა დაირწა, გადაკვეთილი რეინიგმა, დაეანგრიეთ რუსეთის ეკონომიკა და დაენიშნეთ პირველი მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში” – ასე, მშობლიური სამტრედისათვის კომპლემენტების და ქების შესხმით დაიწყო ჩვენმა რესპონდენტმა საუბარი. დათო გოგიშვილს მეტსახელი “ციფვი” ტელეკომპანია “რუსთაველი 2”-ში შეერქვა და მას მერე საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც მის სამეცნიერო მოღვაწეობას არ იცნობს, ის მხოლოდ იუგონისტული გადაცემის გმირია... არადა, ინტერვიუ ძალიან პოლიტიკური და საქმიანი გამოვიდა, როგორც ჩანს, ბოლო ხანს ამპარად შეავეწროვა “ციფვი”, ანუ იუგონის მისმა პოლიტიკურმა აზროვნებამ.

დათო გოგიშვილი “სამტრედის მაცნეს” მოსწავლეობის პერიოდში სტუმრობდა ხოლმე, დედა – ტოლების სკოლის დირექტორი იყო, თავდაც ტოლების სკოლა დაამთავრა, მშობლიურ სოფელს დათო წლეულსაც მოაკითხა. “სამტრედის მაცნეში” მოსული სტუმარი ჩვენი რესპონდენტი აღმოჩნდა. ჩვენც მისი ამჟამინდელი სამოღვაწეო ასპარეზით დაინტერესდით და რამდენიმე კითხვა დაგვუსვიათ:

დათო ამჟამად ტელეკომპანია “ვიდი-ეს”-ში, გადაცემის პროდიუსინგის ჯგუფშია, გადაცემების სარედაქციო მხარე ახარია. კონკრეტულად კი იუგონისტულ-გასართობ გადაცემაში “ზინა 18”, რომლის წამყვანებიც არიან ლევან გოგორელიანი (იგივე ფაქი) და თემურ მჭავია.

ვმუშაობდი რეჟისორის ასისტენტად პროექტზე “ერთი ერთში”. ეს პროექტი ამჟამად ტელეკომპანია “იმედი”-ს ეკუთვნის. ასევე ვმუშაობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემო ქართლის ფილიალში, არაქართველ სტუდენტებს უკუითხავდი “კავკასიის ხალხთა ისტორიას”, “საქართველოს ისტორიას”, თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დავრჩი ისტორიის კათედრაზე, დავამთავრე ასპირანტურა, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ შევიძლია დისერტაციის დაცვა. ასპირანტურადამთავრებულის რანგში მაქვს პედაგოგიური საქმიანობის უფლება, 8 წელი ვიმუშავე უნივერსიტეტის ფილიალში.

– ცოტა შესაბამისა მეტსახელი “ციფვი” სამეცნიერო კარიერათან...

– მე რომ ვმუშაობდი, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, 2000 წელს, ჯერ კიდევ არ ვიყავი “ციფვი”. არაქართველებთან მუშაობა სპეციფიკურია, მეტი ძალისხმევა საჭირო, გაცნობიერებინო მათ, რომ ისინიც ისევე არიან ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი, თანასწორნი, როგორც სხვა ქართველი მოქალაქეები. კომუნისტებიდან მოყოლებული, მათ საქართველოსთან, კონსტიტუციურ სამშობლოსთან ინტეგრაციის პრობლემები ჰქონდათ, არ იცოდნენ მშობლიური ენა და სხვა... მინისტრის, კახა ლომიაის რეფორმის გამო დაიხურა უნივერსიტეტის ყველა ფილიალი, სოხუმისა და ახალციხის ფილიალები გამოეყვნენ და დაფიქსირდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტებზე. შესაბამისად, ქვემო ქართლის ფილიალი დაიხურა, მაგრამ დღემდე მაქვს ურთიერთობები ჩემს ყოფილ სტუდენტებთან. ისინი ხშირად ჩამოგვყავდა ექსკურსიებზე, დავდიოდით ეკლესიებში, თბილისში რომ ჩამოვედით, ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც აღმსარებლობით მუსლიმები არიან, წავყვანენ თბილისის ცნობილი ჯუმა მეჩეთის მოსალოცად, მაგრამ მათ მიიხრეს, სამების ტაძარი გვაჩვენეს. მათ რუსულ ენაზე იყიდეს ქრისტიანული სალოცავი ლიტურატურა, ამან განმაცვიფრა და აღმაფრთოვანა. როცა მზერბაიჯანელი ბავშვები ამ ნაბიჯს გადადგამენ, ეს ძალიან მისასალმებელია. დღემდე ვურეკავ და ვულოცავ ისლამურ დღესასწაულებს რამზან ბაირამს, ნოურუზ ბაირამს, ყურბან ბაირამს, ისინი მიერეკვენ და მილოცავენ გიორგობას შობას, ადგომას.

იმხანად “რუსთაველი 2”-ში ვმუშაობ-

დი პროექტში “გაიდიმე, ფარული კამერა” ნიკა გრიგოლიასთან ერთად შევქმენით ცნობილი რუბრიკა, “ციფვი და კვიერნა”. 2005 წელს მოვიხილეთ “ციფვი-ად”. პრინციპში, რეპრეზენტი, ანუ იმიჯის შეცვლა შეეძლო. ვაპირებ შევქმნა ჩემი პოლიტიკური ბლოგი ფეისბუქზე. აქტიურ პოლიტიკურ სტატიებს ვწერ, ვაქვეყნებ ანალიტიკურ პოლიტიკურ სტატიებს ბაკურ სვანიძის ბლოგზე, საინფორმაციო სააგენტო “მარშალ პრესმა” ასევე გამოაქვეყნა ჩემი მასალები.

– თქვენი, როგორც რიგითი ქართველის აზრი როგორია რუსეთთან ურთიერთობის შესახებ? მოლაპარაკებების შედეგი ერთგვარად ჩაის სმის პროცესს ვერ გასცდა...

– მოგახსენებ ჩემს აზრს, როგორც რიგითი ქართველი და როგორც ისტორიკოსი, არაერთხელ დამიწერია და მითქვამს: ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. პოლიტიკა შესაძლებლობათა ხელისშეწყობა, ხანდახან მჯერა და პრინციპული პოზიცია უნდა დავჭირო, ხანაც – კომპრომისების ხელისშეწყობა გამოსაყენებელი. ერთმნიშვნელოვნად თმის ან მშვიდობის რიტორიკით ვერ იხელმძღვანელებენ. ამ ეტაპზე ხელისუფლებას ვუწოდებ რუსეთთან ურთიერთობებში იმას, რომ ცდილობს, მაქსიმალურად მოზომილი პოლიტიკა აწარმოოს და პროვოკაციებს მოერიდოს. რამდენად ეფექტურია მისი პოლიტიკა რუსეთთან ურთიერთობის დაღაგების თვალსაზრისით და რამდენად აქვს ამის რესურსი, ცალკე საუბრის თემა. ე. წ. გავუმეზობა ხარისხის წითელი ნაჭრის აფრიალების პოლიტიკა, რასაც საკავშირეო აწარმოებდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ე. წ. რეაქციული ფრთის დაკვეთით, მაკკინის ხელმძღვანელობით, დაუშვებელია.

– ჩვენი დათმობების პროპოციულად ჩვენგან მათუფლებლარტები მოიწვევს...

– ამ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს თუ მივადევნებთ ყურს, ბოლო მათუფლებლარტის გადმოწევა, კლასიკური გაგებით, არ ჰგავდა იმ მათუფლებლარტის გადმოწევას, რომელიც 2008 წლის შემდეგ აწარმოვა რუსეთმა. რუსე-

თი არასოდეს აძლევს მარტივად და ავილად მის მიერ დამონტაჟებული სოციალური ბანერების დემონტაჟის და მოცილების დადგმის საშუალებას ელისო კალაძეებს, ნანუკა ფორჯოლიანებს და სხვებს. მე კითხვები გამიჩნდა, ორგანიზებული პროვოკაციას ხომ არ ჰქონდა ადგილი? ეს ჩემი ვერსიაა, არა მტკიცება. საგამოძიებო ორგანოების პრეროგატივაა, თუ იყო რაიმე პროვოკაციის მსგავსი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: მოვა დრო, რუსეთის ფედერაცია გააუქმებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადიარების დადგენილებას. თუ რუსეთი ამას არ გააკეთებს, ის გადაკვეება მას. ათას წელზე მეტს ითვლის რუსეთის სახელმწიფოებრიობა და რუს მმართველებს და ხელმწიფეებს ამაზე დიდი შეცდომა, ვიდრე იყო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ადიარება, არ დაუშვიათ. როცა შენ საკუთარ ქვეყანაში 30-ზე მეტი ავტონომია გაქვს, გაქვს სეპარატისტული კერები და ანალოგიური სტატუსის ავტონომიების ადიარების პრევენციას უშვებს სხვა ქვეყანაში, ეს იმის საუკეთესო სტიმულია, შენს სახელმწიფოშიც ამ ავტონომიებმა მოითხოვონ დამოუკიდებლობა. ნულის ტოლი შედეგი აქვს რუსეთს ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, საერთაშორისო სამართლებრივი, საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადიარებით. ამ რეგიონებში დრო მის საწინააღმდეგოდ მუშაობს. რუსეთის მსოფლიოში ჩამოერთვა უფლება, დემოკრატიის, საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და საერთაშორისო პრიმატის დოქტრინებზე ხმამაღლა ესაუბროს მსოფლიოს. იმიტომ, რომ ის არის ოკუპანტი და აგრესორი ქვეყანა. ვიფიქრობ, პუტინის მმართველობის პირობებში ეს ნაკლებმოსალოდნელია, მაგრამ როგორც კი რუსეთი იმის გარანტიას მიიღებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ბაზები არ განთავსდება, არ გაგზავნიან არც ერთი სამხედრო პოლიტიკური ალიანსის წევრი და ვიბრძობებთ იმისთვის, მივიღოთ გარანტირებული ნეიტრალიტეტის სტატუსი, (ჩემი პირადი მოსაზრებაა,) რუსეთი წამოვი შემხვედრ ნაბიჯებზე. მოგეხსენებათ, არსებობს ორგვარი ნეი-



ტრალიტეტი: გარანტირებული და დეკლარირებული. დეკლარირებული ნეიტრალიტეტი, როცა სახელმწიფო თავად აცხადებს ნეიტრალიტეტის შესახებ და მისი უსაფრთხოების გარანტიებზე არც ერთი სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაცია არ იღებს პასუხისმგებლობას, გარანტირებულია ნეიტრალიტეტი, რაც ამა თუ იმ სახელმწიფოს ნეიტრალიტი სტატუსის შენარჩუნებისთვის ზრუნავს და მეურვეობას იღებს საერთაშორისო ორგანიზაციები და დიდი სახელმწიფოები. თავის დროზე ჭკუით რომ ვყოფილიყავით და ეროვნული მოძრაობიდან მოყოლებული აი ამ გარანტირებულ ნეიტრალიტეტზე გვეფიქრა, რაც თავის თავში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთობაზე მეტ გარანტიებს შეიცავს, ჩვენ გვექონდა ამის მიღების შანსი, მაგრამ ვაგუშვით ხელიდან. როცა ბილ კლინტონი 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, ტელეგრამას გიგზავს და გეუბნება: რუსეთთან ურთიერთობა გაარკვიეთ, ამერიკა მსოფლიო პოლიციელის როლს ვერ იყისრებსო, საქმარისი საფუძველია და მესიჯი იმისა, დაფიქრდეთ.

– სერთიულიდან ცოტა მსუბუქ თემებზე გადავიდეთ, დაოჯახებას არ აპირებთ?

– ტენდერი მაქვს გამოცხადებული თავისუფალი გულის დასაკავებლად. – აქაური გოგონები აირჩიე... არა მაქვს გართულება, რომ ჩემი მეორე ნახევარი აუცილებლად კავსადის და აბაშიძის ქუჩების კვეთიდან იყოს. ღირსეული ახალგაზრდებია ჩვენს რაიონში. – იქნებ, მხარული ისტორიით და-

გასრულოთ საუბარი.

– თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ძალიან მინდა ჩვენს გამგებებს, გამგობას, საკრებულოს, დეპუტატს, ილო მჭავიას, რწმუნებულს ალევო ბოცვაძეს უდრემის მადლობა გადავუხადო. 30 წლის განმავლობაში ტოლებს არ ღირსება სასმელი წყალი, მიმდინარეობს სისტემის კაპიტალური შეკეთება, ტოლებს, ვაზისუბანს და ნოღას ექნება 24 საათის განმავლობაში სასმელი წყალი, კეთდება 5 კილომეტრიანი გზა ვაზისუბნიდან ნოღამდე, და ხორციელდება ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი. დაუნახაობა ყველანაშე დიდი უზნეობაა და არ შეიძლება ამ ადამიანების უწილი არ დაგაფასო.

1996 წელს დაიშალა ვაზისუბნის მევენახეობის მეურნეობა, გაანაწილეს მიწები. განაწილების დროს იქ არ ვიყავი, არც საგანაგებო სამუშაოების დროს – დახვინს და დათესვისას. ისე მოხდა, წლები გავიდა და არ ვიცოდი, ჩვენი სახანა-სათესი ნაკვეთი სად იყო. ერთ წელს ადრიანად მომიხდა ჩამოსვლა ხალხში, დღემდე ადრე დილით გამაღვიძა და მიხეობა, მამას ხალხი ეხმარება და წადი საჭმელი წაუღეო. 3 საათი ვიარე გელოსიპედით იმ იმედით, რომ ვინმე შემხედვებოდა და ჩემი ფართობის გზას მიმასწავლიდა, ბოლოს ვიარე და ეს საკათებული ხალხი გზად შემომეყარა. მამაჩემმა მიიხრა: დეიწვა ის უნივერსიტეტი, სადაც შენ სწავლობ, სად დაიარები რომ დაიარები, სხვის ოჯახში არ შეხვიდე, უნივერსიტეტს როგორ აგნებო?

მარინა ქავთარია – “საუკეთესო მუნიციპალური ზედამხედველი”

6060 ნანტაუჯიო

საქსტატმა ქართული სტატისტიკის დღე აღნიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა უწყების წარმატებული თანამშრომლები და ინფორმაციის მომწოდებელი საუკეთესო ბიზნესლომანიები სპეციალური სიგელებით დაჯილდოვა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმსარებლები დირექტორის, მერი დაუშვილის განცხადებით რესპონდენტებთან და მომხმარებლებთან აქტიური კომუნიკაცია სტატისტიკისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა. მისივე თქმით, მსგავსი სახის ღონისძიებები თანამშრომლებისთვის სტიმულის მიძცემაა, რათა მათ მომავალში ნაყოფიერად იმუშაონ.

ოუბილესთან დაკავშირებით საუკეთესო თანამშრომლობისთვის დაჯილდოვდა სიგელით მუნიციპალური ზედამხედველი სამტრედის რაიონში მარინა ქავთარია. აღნიშნული ინფორმაციისთვის “სამტრედის მაცნე” სწორედ მას მიმართა.

მარინა ქავთარია: “სტატისტიკის სამსახური საქართველოში 1919 წლის 25 ივლისს შეიქმნა. 1921 წელს კი დამტკიცდა პირველი დებულება “საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის შესახებ”. სტატისტიკის პროფესიული დღე საქართველოში 2002 წლიდან აღინიშნება. 96-ე ოუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებას საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა. ის დღე ჩემთვის და ჩემი კოლეგებისთვის დაუვიწყარი იქნება. წილად მხვდა ბედნიერება, იმერეთის რეგიონიდან სამ გამარჯვებულს შორის დაჯილდოვებულიყავი ნომინაციაში “საუკეთესო მუნიციპალური ზედამხედველი”.

25 წელზე მეტია, ჩემს პროფესიას და საყვარელ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ვემსახურები. ბედნიერებაა, როცა ამას ხელმძღვანელობა შეხედავს და დაგიფასებს. ოუბილზე მიწვევა და დაჯილდოვება კიდევ მეტ სტიმულს მაძლევს, დიდი სიყვარულით ვაკეთო საქმე”. პირველი ივლისიდან “ოვიციალური სტატისტიკის შესახებ” კანონში ცვ-



ლილები შევიდა ძალში. ცვლილების განხორციელება აქტუალური გახდა საქსტატისტიკის საქმიანობის პრაქტიკულად, აგრეთვე სტატისტიკის, როგორც დარგის დინამიკურიდან და მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ცვლილების თანხმად განისაზღვრა სტატისტიკური კითხვების შეესების ვალდებულება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების სისტემაში რეგისტრირებული პირებისათვის და დადგინდა სანქცია ინფორმაციის წარმოუდგენლობისათვის (თავდაპირველად გაფრთხილება და შემდგომ პირის დაჯარიმება 200 ლარით). დაეწესებოდა კანონის მიხანი და რეგულირების სფერო. “კანონში შეტანილი ცვლილებების მიხ-

ანია, საქართველოს სტატისტიკის სისტემის განვითარების გზით, გაეროს ფუნდამენტური პრინციპებისა და ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის გათვალისწინებით, უზრუნველყოს ოფიციალური სტატისტიკის წარმოების ხარისხის გაუმჯობესება ქვეყანაში. ამდენად, ჩემი სასახური საკმაოდ აქტუალური, საჭირო და იმადროულად შრომატევადია. მოიცავს უზარმაზარი ინფორმაციის შეგროვებას, შესწავლას, რაც მომავალში ხელს შეუწყობს სხვადასხვა დარგში კვლევას და საბოლოო გადართობა და შემდგომ პირის დაჯარიმება 200 ლარით). დაეწესებოდა კანონის მიხანი და რეგულირების სფერო. “კანონში შეტანილი ცვლილებების მიხ-

“მარტისტიკის კვირეულის” გამარჯვებული სტუდენტობისათვის ეფუძლება

6060 ნაბიჯი

პრიორიტეტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მინიჭება. პროფესორი მთარეველ-რეფერანტი აირჩია. შედეგები იცის, რომ სასურველ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტზე მოხვდა. 5 აგვისტოს მე-4 საგნის ქულაც დაიდო. ლიტერატურაში 80 ქულიდან 50 აიღო. ეს შედეგი მაინცდამაინც არ მოსწონს. დარწმუნებული იყო, თავისი ნამუშევრით მეტს იმსახურებდა, თუმცა გაპროტესტებას არ აპირებს. წინა სამი საგნის ქულები მისთვის დამაკმაყოფილებელია, ზოგად უნარებში 80-დან 66 ქულა აიღო, ინგლისურში 100-დან – 99, ქართულ ენასა და ლიტერატურაში – 80-დან 63 ქულა აქვს.

ანა ზაქარაძე სამტრედიელი გოგონაა. თავის ტოლებში თითქმის არაფრით გამოირჩეული, თუ ანგარიშში არ ჩავთვლით მის შემოქმედებით ნიჭს, რაც ძირითადად წერაში გამოიხატება. ანა 12 წლის იყო, როცა პირველი მოთხრობა დაწერა.

“ახლაც მახსოვს ის განცდა, მაშინ რომ დამეუფლა – დავწერე რამდენიმე სიტყვა, რომელმაც თვალს ამახილა და განსხვავებულად დამანახა, თუ როდენ დიდი ძალა ჰქონია სიტყვებს”.

ამის შემდეგ ანას კალამი ხელიდან არ გაუვლია. წერდა ნებისმიერ თემზე, რასაც კი საინტერესოდ მიიჩნევდა. აკითხებდა უმეტესად მეგობრებს, იმით, ვისაც წიგნი უყვარდა



მქონდა წაითხული. აღმოაჩინდნენ გრამატიკულ შეცდომებს, ზეგაულებას ცნობილი მწერლებისას. ვცდილობდი, შენიშვნები გამეთვალისწინებინა და ჩარჩოვს წერსებიდან ორს გამოჰყოფს: “ჩვენი თავგადასავალი” და “ფანART”. პირველში საქართველოს მასშტაბით 14-დან 18 წლამდე 24 საუკეთესო პროზაიკოსი შეარჩიეს. აღნიშნული კონკურსი ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრისა და მწერალთა სახლის ერთობლივ პროექტს წარმოადგენდა. ჩატარდა კახეთის ულამაზეს სოფელ წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში: “ვენ-მარათონი სამი დღე გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში უნდა შეგვექმნა მოთხრობა წინადადებაზე – “სათის ისარმა 12-ს ჩამოჰკრა”. ვმონაწილეობდით სკოლის 23 მოსწავლე. ჩვენი დაწერილი მოთხრობები ერთ წიგნად ავირჩიო და გამოიცა. ამ კონკურსში გამარჯვებული არავინ იყო, ვინაიდან ეს 23 ახალგაზრდა 187 მონაწილიდან შეირჩა. ჩემდა საბედნიეროდ, მათ შორის ვიყავი მეც”.

“ფანART“-ის პრეზენტაცია თბილისში, მწერალთა სახლში 2015 წლის მარტში გაიმართა. აღნიშნულ ფესტივალს “მარტისტიკის კვირეულს” უწოდებენ.

ფესტივალის მოიწვევდა ხელოვნების 10 სხვადასხვა დარგს. მათგან ერთ-ერთი იყო პროზა, რომლის ფორმის წვერი დათო ტურამიძის ინიციატივით. მან მთელი საქართველოს მასშტაბით 200-ზე მეტი ნამუშევრიდან 7 საუკეთესო ამოარჩია. ანა ზაქარაძეს აქაც წარმატება ხვდა წილად. სხვა გამარჯვებულებთან ერთად სამტრედიელმა შემოქმედმა გოგონამ სიგელი და ელექტრონული წიგნების სახლ “საბადან” საჩუქრად ელექტრონული წიგნები მიიღო.

ანა ზაქარაძე სოფელ გომში მშობლებთან მარინა ჩაჩუასა და ვაჟა ზაქარაძისთან ერთად ცხოვრობს. დედისურთაა და მშობლები ბავშვობიდანვე ანებიერებდნენ. ზედა გომის საჯარო სკოლა წარმატებით დაამთავრა. პედაგოგებს ყოველთვის ჰქონდათ იმედი, ანა ეროვნულ გამოცდებსაც წარმატებით ჩააბარებდა და სასურველ ფაკულტეტზე მოხვდებოდა. დღეს უკვე ამ-აზე თამამად შეიძლება საუბარი.

ბიდან გაეთავისუფლებულიყავი”. ანამ შეძლო კიდევ – გაიზარდა ასაკითაც და წერის კულტურითაც. რაზეც



და ამ სფეროში მეტ-ნაკლები გამოცდილება ჰქონდა: “მაძლევედნენ შენიშვნებს. ასე, მაგალითად, “მწიერი ლექსია”, ვინაიდან იმ ასაკისთვის ბევრი წიგნი არ

ნათლად მეტყველებს ის კონკურსები, რომლის რჩეულიც ის სხვადასხვა დროს გახდა. 17 წლის შემოქმედი გოგონა ამ კო-

80 თეთრი

ლიდან აქ ზის. ფილარმონიის წინ. რამდენი წელია? თვითონაც აღარ იცის. ცივია, ცივია. მას ყველაზე მეტად სტაკია. უკვე მოხუცია, სახელად სესილი ჰქვია. ბავშვობაში სისის ეძახდნენ, თუმცა ბავშვობა კარგა ხანია, აღარ ახსოვს. ყველა მოგონება დაავიწყდა... გარდა ერთისა.

რვა წლის იყო, როდესაც მამამ პირველად აიყვანა ზღვაზე. აქამდე არასოდეს ენახა ზღვა. იდგა სანაპიროზე, გაშეშებული, სუნთქვა შეკრული, ტირილი, მაგრამ უხმოდ. მაშინ ძალიან პატარა იყო, თუმცა, ზღვის სუნს ახლაც კი გრძნობს, მას თავისუფლებას აღარ ეძღვება. თავისუფლება ყოველთვის თავბრუს ახვევდა.

როცა რვა წლის იყო, ოცნებობდა, ახლა – აღარ.

მას შემდეგ ზღვაზე აღარასოდეს ყოფილა.

დილით ცივია, თბილისში შემოდგომაა, კიბის საფეხურზე ზის და ქუჩაში გაშვებულს ათვალიერებს. ვიდაც ლამაზ გოგოს მოჰკრა თვალი, თავისთვის, ჩუმად ამოიხრბა და დახეთქილი ტუჩები ენის წვერით აიღ-

ოვა. ოდესღაც ისიც ამ გოგონასავით სიცოცხლით საეხე იყო.

ახლა? ახლა ყოველი დღე დათვლილი აქვს, თუმცა, ამის არ ეშინია. აშინებს მხოლოდ ერთი რამ, რომ უპატრონოდ დარჩება თავისი ნიჭი.

ნიჭი პაპა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ზის და სივრცეში იფურება. ვერაფერს ზედავს. თავს აქეთ-იქით აქნევს, სიბნელის ეშინია.

არც ნიჭი პაპას ახსოვს ბევრი რამ წარსულიდან, მას აღარავინ დარჩა გარდა ფილარმონიის წინ მჯდარი მოხუცი ქალისა...

სესილის წინ ვიღაც გოგოებმა ჩაიარეს, რამდენიმე მეტრში ერთ-ერთი მათგანი ჩერდება და ჩანთაში რაღაცას ეძებს, შემდეგ უკან ბრუნდება და ხელის გულში 80 თეთრს უდებს. სესილი თავს ზემოთ სწევს, რომ კარგად შეათვალიეროს, მაგრამ გოგონა უკვე მისგან ზურგიით დგას და იქვე მდებარე მაღაზიის კარს ადებს. სესილი თავს ისევ დაბლა ხრის და ცდილობს, მარილებით დასივებული თითების მოხრას, მაგრამ არაფერი გამოსდის. ოთხი ოც თეთრიანი კვლავ გაშლილ ხელისგულზე რჩება. წე-

იბას იწყებს.

როდესაც რვა წლის იყო, წვიმა უყვარდა. მამინაც წვიდა, როცა ზღვა პირველად ნახა. ახლა 68 წლის ასაკში წვიმა მისთვის მხოლოდ სციფესთან და გაყინულ ხელისთითებთან ასოცირდება.

“ქნებ დამინდოს” – თავისთვის გულში ფიქრობს და უცრად კალთაში გაჩენილ პარკს დასცქერის. რამდენიმე წამი სჭირდება გინს მოსასვლელად.

ზევიდან ის გოგო დასწერება, ორი წუთის წინ 80 თეთრი რომ ჩაუღო ხელისგულში. – აქ საჭმელია, – ამბობს ის, ხმა რადიკანარი ადფრთოვანებით უკანკალებს. სესილის თვალები უწყლიანდება და იმ გოგოს ხელს მაგრად ბღუჯავს. ორი წამით. ორივე ტირის, უხმოდ, უცრემლოდ. შემდეგ სესილი ვეღარ ითმენს და ხმაძალია იძახის:

– დემოტმა დაგლოცოს! – და დიდი ხნის გამშრალ, დაიწყებული ცრემლის გასურებულ ბურთულას თავისუფალი ხელის მჯილით იწმენდს.

ახლა აღარ ეშინია წვიმის. ახლა უნდა ნიჭობრის სუსხმა ზღვის თავი-

ალეკსანდრე ცვილიძე, ჰაქიოხიის ლიცეა-ეხითხევა შევასხეო

ლეგან გაბრახა

კიდევ ერთ, პერსპექტიულ ახალგაზრდას ირაკლი ადემიშვილს გავაცნობთ საზოგადოებას.

იგი ქალაქ სამტრედილაში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის სპეციალისტია.

დაიბადა 1984 წელს. გიორგი ნიკოლაძის სახელობის მრავალპროფილიანი საერთო სკოლა-ლიცეუმის “XXI საუკუნე” დამთავრების შემდეგ, თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი “იბერია” დაასრულა. ირაკლი იურისტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი.



– აღმსარებლობა, გვათ მოძღვარი? – მართლმადიდებელი, ჩემი მოძღვარია წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ანტონი (ვაძაკიძე).

– ვის გარემოცვაში ატარებთ თავისუფალ დროს? – ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, უახლოეს ადამიანებთან.

– ვის მიიჩნევთ ყველა დროის გამომჩენილ პოლიტიკოსად? – მოქმედ პოლიტიკოსთაგან უპირატესობას ბატონ ირაკლი ლარიაშვილს მივანიჭებ, გარდაცვლილითაგან ბატონ მერაბ კოსტავას.

– საყვარელი მწერალი, ლიტერატურული ნაწარმოები. – ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი... ჭაბუა ამირეჯიბის “დათა თუთაშხია”, ნოდარ დუმბაძის “მე, ბებია, ილიკო და ილარიონი”, კონსტანტინე გამსახურდიას “მოთვარის მოტაცება”, გაბრიელ გარსია მარკესის “მარტოობის ასი წელი”, დოსტოევსკის “ქმები კარმაზოვები”. ისტორიული წიგნები ძალიან მიყვარს, ხშირად ვეცნობი იურიდიულ ლიტერატურას.

– შრომისდასმი თქვენ და მოვიდებოდა, სამეურნეო საქმიანობა მაქვს მხედველობაში. – მიყვარს შრომა, მიმანია, რომ ზომიერი შრომა აუცილებელია სასარგებლოცაა, აკეთილშობილეს შრომა კაცს.

– გიყვართ ბუნება? რამდენ ხე დაგირავთ? – ბოლოს განათხილავ 4 ძირი ხე დავირავებ. ზუსტად ნამდვილად ვერ გეტყვით, რამდენი ხე მაქვს დარგული, ისე ვცდილობ პატრიარქის ლოცვა-კურთხევა შევასრულო და წელიწადში 12 ხე აუცილებლად დავრგო. საქართველოს ბუნება საოცრად თვალწარმტაცია და ჩვენგან მოვლას, გაფრთხილებას, ზრუნვას მოითხოვს.

– თქვენ აზრი თანამედროვე ახალგაზრდობის შესახებ. – პრაქტიკულად მოახლოვებული თაობა იზრდება. ინტერნეტმა ყოველგვარი საზღვრები გახსნა და ახალგაზრდებიც უფრო მეტად ცივილურად აზროვნებენ.

მინდა, აქვე აღვნიშნო, რომ სოციალურმა ქსელმა ახალგაზრდები რამდენადმე ჩამოაშორა წიგნებს, კარგი იქნება ამას თუ გაითვალისწინებს მომავალი თაობა და წიგნებთან მეტად იმეგობრებენ.

– რამ განაპირობა თქვენი პროფესიის არჩევანი? – მაინტერესებდა საერთაშორისო ურთიერთობები, დიპლომატია და ამან განაპირობა ჩემი არჩევანი.

– რამდენად ახდენთ შესაძლებლობების რეალიზებას ამჟამინდელ თანამდებობაზე? – მაქსიმალურად ვცდილობ, ჩართული ვიყო ყველა იმ პროცესში, რომლის განხორციელება ჩვენი გუნდისთვის პრიორიტეტულია.

– თქვენი ძირითადი მოვალეობა (ფუნქცია) რა არის სამსახურში? – ჩემს სამოქმედო უბანზე მცხოვრებთა პრობლემების მოვლევია, რიც საკითხებში მოქალაქეთა გარეგნული, მათ განცხადებებში დასმულ საკითხებზე რეაგირება და ა. შ.

– სპორტის რომელი სახეობა გიტაცებთ? – კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა...

– “სამტრედიის მაცნეს” კითხულობთ უეჭველად, რა შინაარსის წერილებს ისურვებდით გაზეთში უფრო ხშირად? – მას შემდეგ, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე გავხდი, გაზეთის ყველა ნომერს ვკითხულობ. კარგი იქნება უფრო ხშირად, ვერცხად დაიწეროს შემეცნებითი თემები, სასაამოუნო იქნება ისტორიულ-რელიგიური ძეგლების შესახებ მასალების ხილვა და ა. შ.

– წარმატებებს გისურვებთ!

ლევან გაბრახა

ფერისცვალებას გილოცავთ!

მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო და უზვენე მოწაფეთა შენთა დიდებაი შენი ძალისაებრ მათისა და გამოგვიბრწყინე ჩვენცა ცოდვილთა ნათელი შენი მიუაზრდილებელი, მეოხებითა ღმრთისმშობლისათა, ნათლისა მომცემელი უფალო, დიდება შენდა!

“მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო და რაოდენ ძალ ედვა მოწაფეთა შენთა, დიდებაი შენი უზვენე, რათა რაჟამს იხილონ ჯუარცმაი შენი, გულისხმა ჰყონ, ვითარმედ ენებაი იგი ნებსით არს და სოფელსა უქადაგონ, ვითარმედ შენ ხარ ჭეშმარიტად ბრწყინვალეაი მამისა”. – ლოცულობენ ფერისცვალებას ეკლესიაში.

ხშირად ეუბნებოდა იესო ქრისტე თავის მოწაფეებს, რომ ადამიანთა გადარჩენისათვის იგი უნდა ეწამოს, უნდა მოკვდეს, მესამე დღეს კი უნდა აღდგეს, მაგრამ წამებასა და სიკვდილს მისდამი, როგორც ღვთის შვილისადმი რწმენა რომ არ შეერყია მის მოწაფეებში, იგი მათ წინაშე გარდაისახა, ფერი იცვალა...

ფერისცვალება ქრისტეს სასწაულებრივი გარდასახვის აღსანიშნავი დღესასწაულია.

ამ დღეს ხდება ყურძნის, ხილისა და ხორბლის კურთხევა.

უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტეს ფერისცვალებას ეკლესია 19 აგვისტოს (6 აგვისტო ძვ. სტ.) აღნიშნავს.

მოქმედ ტაძრებში ამ დღეს შესაბამისი ღვთისმსახურება აღევლინება.

გილოცავთ!

ლევან ბაბუჩავა



საჩუქარი ბანკი "ჩესპუბრიკსგან"

შოთა ბაბუჩავა

ზაფხულის ცხელი დღეების მიუხედავად, ფოლკლორული ჯგუფი "ლადი" ჩვეული ენერჯიულობით აგრძელებს რეპეტიციებს. თანაქალაქელებს, განსაკუთრებით კი მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სახლში დასაქმებულთ ივლის-აგვისტოშიც არ აკლიათ მრავალხმიანი ქართული სიმღერის "მარგალიტების" მოსმენა. მათი ხმა ერთი კონკრეტული შენობის კედლებს დიდი ხანია გასცდა, კეთილისმსურველებიც მრავლად გამოუჩნდნენ, რომელთა სათავეში ბანკ "რესპუბლიკას" სამტრედიის ფილიალსა და მის დირექტორს, ბატონ გოგიტა კაკაბაძეს მოიაზრებენ.



სწორედ ამ სიყვარულის, პატივისცემისა და პირველი გალა კონცერტით აღფრთოვანების ნიშნად, ბატონმა გოგიტამ 2015 წლის 3 აგვისტოს ბანკის მისაღებ დარბაზში უმასპინძლა ჯგუფის წევრებს. დანაპირებს უბრალოს არც ელოდნენ, თუმცა, საჩუქარმა მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა. გოგიტა კაკაბაძემ საზეიმო ვითარებაში



სოლისტ ანრი მანჯგალაძეს სპეციალურად "ლადისთვის" დამზადებული ფანდური გადასცა და აღნიშნა: "თქვენი გამოჩენა სასიხარულო მოულოდნელობა იყო სამტრედიის კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში. მჯერა, წინ ძალიან დიდი, წარმატებით აღსავსე გზა გელოთ, რომელიც ერთად უნდა გაიაროთ. ჭეშმარიტად ქართული საქმის მკეთებელთ არასოდეს მუხთლობს განგება. ბატონი ბეჟან გოგიას სახით ჩინებული მეგზური მოგველინათ მუსიკის სამყაროში. სხვამ ვინ, თუ არა მან, საუკეთესოდ იცის ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის ფასი. "ანვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი აღარ იქნება!" რამდენიმე ნომერი იქვე, სახელდახელოდ შეკრებილი აუდიტორიის წინაშეც შესარულეს, აპლოდისმენტების თანხლებით ერთს მეორე მოაყოლეს და ახალი რეპერტუარით წარდგენასაც დაჰპირდნენ მსმენელთ.

სამადლობელ სიტყვებს არც ბეჟან გოგიას იშურებდა: "ბატონი გოგიტა კაკაბაძე ადამიანთა იმ იშვიათ კატეგორიას ეკუთვნის, "სხვათა მიღწევით სიხარულის გაბეგრება" ზეგარდმო ნიჭად რომ მოჰმადლებიათ. "ლადი", უდავოდ გაამართლეს მასზე მზრუნველი, გულშემბატკავარი საზოგადოების იმედებს. ამის გარანტიას თავად ჯგუფის წევრები იძლევიან, დაუღალავი მუშაობითა და ახლის ძიების დაუცხრომელი წყურვილით".

ჩინიოზული მამა-შვილი

ქვეყნად უამრავია საკუთარი პროფესიის ერთგული ადამიანები. ისინი არაჩვეულებრივად ახერხებენ ერთდროულად ემსახურონ საკუთარ საქმეს და ოჯახს. შეგნებული სიცოცხლის მანძილზე მაღალი პროფესიონალიზმითა და სიყვითის უსახლგროდ კეთების ღვთიური ნიჭით არიან დაჯღღღობულნი. სწორედ ასეთ პიროვნებად იცნობენ კოლეგები, მეგობრები და ახლობლები სამტრედიის საგაგონო დეპოს ელექტროშემდუღებლებს, მამა-შვილს, ტარიელ და გურამ ჯოგლიძეებს. ბატონი ტარიელი 35 წელია რეინგზის ტრანსპორტს ემსახურება. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საეაღდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ამის შემდეგ რეინგზის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ეუფლება ელექტროშემდუღებლის პროფესიას და მუშაობას იწყებს სამტრედის საგაგონო დეპოში ზეინკლად, ხოლო შემდგომ ელექტროშემდუღებლად. მან უწუნო და უაგარიო მუშაობას დიდი ხანია საფუძვლად დაუდო თანამოსაქმეთა ცოდნა და გამოცდილება. აქ ბევრი სახელმოსხვეჭილი ადამიანი მუშაობს, ახალგაზრდებიც და საშუალო ასაკის სპეციალისტებიც, მაგრამ საქმის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით გამოირჩევა ბატონი ტარიელი, აქ ცვლაში 7-8 ვაგონი შემოდის. სარემონტოდ სხვადასხვა სახის დაზიანებით, დიდი მნიშვნელობა აქვს დაზიანებული ვაგონების დროულად შეკეთებას და გაგზავნას, რადგან მათ ელოდება სხვადასხვა სახის ტვირთი ფოთში, ბათუმში, ტყიბულში თუ ჭიათურაში, რათა დროულად იქნას გადაზიდული დანიშნულების ადგილზე ესა თუ ის ტვირთი (ქვანახშირი, მარგანეცი, ხორბალი).

უყვარს თავისი საქმე ბატონ ტარიელს და იგი თავის შვილსაც შეაყვარა. გურამმაც ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და დეპოში მამასთან დაიწყო მუშაობა ელექტროშემდუღებლად. მათ კარგად იციან, თუ რა მნიშვნელობა აქვს ვაგონების ხარისხიან შეკეთებას და დროულად გაშვებას.

მამა და შვილმა ბევრ ახალგაზრდასაც ჩაუწერეს შრომისადმი სიყვარული. მათ გვერდით გაიზარდნენ და დაეუფლნენ პროფესიას ზეინკლები: დავით ქართველიშვილი, ალექსანდრე კლარჯეიშვილი, ზურაბ ბასკანჩაძე და ლაშა ტყემულაშვილი, რომლებიც დღეს დეპოს საუკეთესო მუშაკებად ითვლებიან. მეგაგონისათვის არ არსებობს საქმის სირთულე, კარგი და ცუდი განწყობილება, მათთვის არსებობს სამუშაო, რომელსაც ისინი ასრულებენ კეთილსინდისიერად, რათა უზრუნველყონ მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობა, რისთვისაც საჭიროა ხაზზე გავიდეს გამართული ვაგონი.

რეზა შამაგია


“საქართველოს მოხალისეობა” ანიმაციური ფილმის ჩვენება მოაწყვეს

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ახორციელებს პროექტს "საქართველოს მოხალისე". პროექტის ფარგლებში, რომელიც აპრილში დაიწყო და ახალგაზრდობის აქტიურ დასვენებას და ჩართულობას ისახავს მიზნად, მთელი საქართველოს მასშტაბით შეიქმნენ სტუდენტები. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ორი მოხალისეა, კობა ნოზაძე და მონია ცინცაძე. ამ ახალგაზრდებმა გასაუბრება ქუთაისში გაიარეს. შემდეგ მათ სპეციალური ტრენინგები ჩაუტარდათ და პროექტშიც ჩაერთვნენ. ამ პროექტის ფარგლებში მოხალისეებმა მუნიციპალიტეტის გამგეობის სათათბირო დარბაზში მოაწყვეს ანიმაციური ფილმის ჩვენება სახელწოდებით: "ადამიანი, რომელიც ხეებს რგავს". ფილმი მათ ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიაწოდა. მონია ცინცაძე პროექტის "საქართველოს მოხალისე" მონაწილე სამტრედიიდან: "ვარ მეღაურის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი. ჩვენ ისეთ პროექტებს ვახორციელებთ, რომელთაც დიდი რაოდენობით თანხა არ სჭირდება, ამას წინათ მომავლის პარკში დასუფთავების აქცია ჩავატარეთ, ასევე სამტრედიის ბალნეოლოგიურ კურორტზე. თვეში მინიმუმ ერთი პროექტი უნდა განვახორციელოთ. ჯერჯერობით 10 მოხალისე ვართ, ვიყავით სკოლებში, დავანტერესეთ მოსწავლეები. ვაპირებთ მოვაწყვიტო ასევე გამწვანების აქცია. პროექტი "საქართველოს მოხალისე" თებერვლამდე გასტანს.

ნათია ნახვლითაძე



ახალი თევზაძე - 65 მაღალ ღმერთს მოეგონა ამ ჯეთისა



მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "აცოცხლებს მაღლი მშობელ ხალხის, ზეცის, ქედების", იგი ქართული ლექსის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია, თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტი. გამორჩეული მისი სიტყვისა და აზრის სინატიფით, გულწრფელი, პოეტური ემოციით. იმერეთის ულამაზეს სოფელში მფეე-პოეტის, გალაკტიონის სამფლობელოსთან ჭყვიშთან ახლოს ცხოვრობს და ქმნის პოეტი აკაკი თევზაძე მის ულამაზეს სტრიქონებს.

პოეტის შემოქმედებით კრიალოსანზე 65 წელი ჩამომარცვლა, ვულოცავთ ჩვენს საყვარელ პოეტს, გალაკტიონის პრემიის ლაურეატს, მრავალი კრებულის ავტორს სახელოვან იუბილეს. ჟამთაგულს მისთვის შემოქმედებითი ჭირნახული გაბეგვრების, იხარეთ და იღვებრძელეთ, ბატონო აკაკი! ერთგულ მკითხველს კი მის იუმორისტული ჟანრის ლექსებს ვთავაზობთ.

თავლითაჲს მოვამბავს
ჩვენი სისხლ-ხორცი, იცით, რომ არ იჭმების და ისმების...
ეთერში ლანძღაუთ პირველ კაცს და პირში ეთილისმებით.
ემშაჲმაც ვეღარ გაიგოს თქვენი თამაშის წესები, მშვიერი ხალხის არ გესმით ოხვრა და დანაკვანებები.
ვინც ქვეყნის მძარცველს დაიცავს – ყველაზე დიდი მძარცველი თავად ივია – მე თქვენგან რამ სასიყუთოს არც ველი.
ერთმანეთს ჰგავხართ ყველანი, ბედი ვიღობით აგეთებს...
სულ რომ ლაპარაკს უნდვით, საქმეებს როდის აკეთებთ?!

ამბობარ კაკო ვარაძის
თავის მოჭრა არის ჩვენი, სხვებორების, პერეთების...
კორძაძე რომ შაირობდეს, ლექსს ვერ წერდეს წერეთელი.

ჯანსუღ ჩარაძის
ფიცხელ ლექსს იქნევს ხმალივით, ლელოს გამტანი ჯიქურად, ჯაჭვის თორანი ჩაიცვა, თავზე ჩაქანსაც იხურავს.
"სამშობლო არის მთავარი" – ჰქუხს ერის წყლულით ვნებული, ბრძოლაში შევა-გამოვა ყოველთვის გამარჯვებული.
ვინც საქართველოს სახელი ლაფით მოსვარა, ათრია...
შიგ გულში ჩასცა მახვილი, ძმებო, მრავალზე ადრია.
არ გაეცლება ბრძოლის ველს, მუსხლაუნხრელი მხედარი, კაი ყმის ფიცი გვეჯეროდეს, და კაი ნამოქმედარი.

მარნაღ მასაძის
პირს მოხრება
ზურგზე რომ ტყავი ამაძერე, ლამის თვალეში დალამდეს, ქალო, გვერდების დახველა, გგონია, მაკლდა აქამდე?!

მარნაღ მასაძის
მსმენია – ქრისტე თუდამ ოცდაათ ვერცხლად გაჰყვია, რამდენად შელეული შენ შენს მარნაღ მაგიდას?!
მეწველ ძროხას რომ სჯობია, თუმც ფერი დაჰკარავს სიძველის, ბალახის დაყრა არ უნდა, ზამთარ და ზაფხულ იწველის.

მუღოს
არის შენთან მოგონილი ქვეყნად ყველა ცბიერები, ტლუს პირი გაქვს მოქონილი ყალბი გულისხმირებით.
ნეტავი ვინ გაგაჩინა ლინდით სავეს, ასე ქლესა? ტარტაროზთან ვიღვეს ბინა და ბოლმიდან ნაღველს ლესავ!
ღმერთს, ღრუბლებში ღამის მთევველს, შევთხოვ, სული მიღვას ვიდრე, – ცათა შინა სასუფეველს არასოდეს დაგიმკვიდრებს.

ლექსი-მასპროზი დაწერილი ჩემი ღირსების
ორღენით დაჯილდოების გამო
ვარ სიყვარულის ორღენის, დარდის ორღენის მფლობელი, მაღალ ღმერთს როგორ არ ვუთხრა ამისთვის სამადლობელი?!

გაღალო ღმერთო, მოხალა!
წინ მივალ კუს ნაბიჯებით, მსაყვედურობენ ბიჭები: "ვერ გახდი დიდი პოეტი, აწ კი ხარ დასამიწები."
სამ საცოდავ წიგნს შეადგენს შენი ფიქრების ბარაქა, პირზედ ოფლგადმომდინარე ამაოდ იცლი არაქათს.
არ გირჩევენა, თავი რომ ოჯახს შესწირო ზარაყად?!
ცოლიც კვერს უკრავს: "ბოშეგები"

მართალს უბნობენ, არა, ქა?!"
მაგისი ლექსი ვის უნდა, ნეტავ, ვის რაში არგია?
დავკარგეთ გეგრა, ბიჭვინთა...
ტიალი ვის დაჰკარგვია?!
მე გულს ვუკეთებ – "დადგება ჩემი ღროც, თუკი დაუცვლით, ოთხმოცი წლისა ვოეთემ არ დაგვიწერა "ფაუსტი?"
ერთხმად მაყრიან ქოქოლას, (სად ხარ ამჟღის ამჟღოლო), თუ ღირს ვარ, მაინც სჯობია, შინაურებმა ჩამქოლონ.
მაღალ ღმერთო, მომხედე!..
ისმინე ობლის ქენება – ეგების გადამარჩინო საქვეყნოდ გამოგუნებას.

ღრობაჲს
შეგინდობთ ახალ ცოდვებს მიწიერს, ისეც გამძიმებთ ძველი ცოდვები!..
თუ რამ სიყუთე ვერ გამოიწიეთ, თქვენს მოწყალეებს არც ველოდები.
რასა იქმთ, რადგან თავად არ იცით, და შავბუნელ ზრახვებს მისდევთ ბრიყვეულად, სულაც არა ვარ შესაბრალისი, ამ ცხოვრებიდან არ გაგრიყულვარ.
ამაოდ ცდილობთ, რწმენა ჩამოგლოთ, კვლავ შემართების ცეცხლით ვინთები, არ გთხოვთ – შელივით მკერდში ჩამყრათ, მოსაფერებლად არც მოგინდვით.
სული არა გაქვთ – ეშმაკს მიჰყიდეთ, ფიტულეებით დახვალთ უგულოდ.
რა დარგენიათ, დღეის იქითაც ქვეყანას ღია თვალთ უყურით!
ამირანივით მხნე და მამაცი – ბრძოლაში გიწვევთ ყველა მიზანთრობს!..
ერთი წუთითაც აღარ დაგაცდით – კაბინეტებში გამოიზამთროთ!!!

ამბობარის ჩემილი მუღოსადმი, რომელიც ხშირად ოცნებებს მატარებდას და ღრუბლებს
მოუქმნა აწმყოს ნაკლი, ენატრება თვისი ერა...
მრისხანების ქარებს მახლის, რა გვაცხოვრებს თვისიერად?!
დაჰფარფატებს ფიქრი ავი, ცრემლის ჯაჭვის თორანი აქვს, ყოველ წუთში თავს დამჩხავის, ქალია თუ ყორანია?!
ღმერთო ჩემო, რა შეგცოდევ? – სულში ეშმა ჩაასახლევ?
მისი შიშით სანამ ვკრიოლევ,

ან მოქალ, ან ჩაამდლევ!
თუმც წყველი ხშირად სცოდავს, ვერეინ ჩათვლის ბიწიერად, მომამტვრია ფრთები, პოდა, სულ მთლად გამამიწიერა.



ჩემს სიღვრეს, კალაპორს შუშანა ბახარის, დაჯილდოების 80 წლისთავთან დაკავშირებით
ბიძაშვილი ლექსი
სხვების სიძველს არ ვგავარ – სული რომ ეშმაკს მიჰყიდეს, დასტურად კმარა – თავი რომ დღემდე არ ჩამოივადე.
არ მითხოვია მანქანა, არც ოქრო-ვერცხლის ბარაქა, ერთი ქალ გამომავლოეთ, შრომაში მაცლის არაქათს.
.....
სადღეგრძელონი ვარჩიე, და ენაც დიდხანს ვილესე, მაგრამ არ წამომიყვანეს მაინც შენს იუბილესზე.
გაღვიწიე სუფრასთან მოხვედრის ნეტა იღბალი მქონოდა, დამტოვეს ფრინველ-ძროხების, სახლ-კარის საპატრონოდა.
არ შეგეშინდეს სიბერის და ხმელი ზამთრის სითეთრის, იყოს შენსავით მზეგრძელი ქვეყნად სუფევლა სიღვრე, – ვინაც კი არ ჰყრის პირიდან შაქრის მაგიერად დარიშხანს, თორემ რა გადურჩებოდა წყველა-კრულეების ქარიშხალს.
არ წახდევ, არ თქვა: "ტანჯული სული აღმომხდეს – მაღლია!"
სანამდის გაღმა გაგვიყვანს ჩვენი საერთო ნათლია.
ღმერთმა გიხაროს შეილები, პირამზე შეილიმვიდესი, ცელის სალესი ქვასავით, მათ სიყვარულში ილევია.
ჟამთაგულა ვერას დაგაკლვებს, შუშანი, გამძლე ჯიშის ხარ!..
შენი შემყურე სიყვდილი თვითონვე კვდება შიშისგან.
დიდ იუბილეს გილოცავ, უბერებელი ღეღო, შორიდან გეაღვრესები, გემთხვევი ზედხედალი!

"ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა"

ასე ჰქვია სამტრედიელთათვის კარგად ნაცნობი კაცის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, 1978-1987 წლებში პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივნის, ბატონი თამაზ შალვას ძე იმედაძის წიგნი, რომელიც ავტორმა მშობლების, დისა და სიძის ნათელ ხსოვნას უძღვნა.
დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ ყოველი ზეღმძღვანელი მუსკის, ბატონი ბორის ფოცხვერაშვილის ავტობიოგრაფიული წიგნი "წარსული, რომელიც დასავლეთელებად არ მემეტება" იხილა. სხვა რა უნდა იყოს, თუ მისასაღმებელი არა, რომ უფროსი თათბის წარმომადგენლები თავიანთი ჩანაწერებით, ეპოქის ავტორებზე საუბრობთ, ფართობს და მრავალფეროვანს ზდიან მოგონებებს 145 წლიანი ქალაქის შესახებ.
"წარსულის ექიმ, მისი კვლავ ხილვის ჟინმა მიბიძგა, ზოგი რამ მეთქვა ამ საინტერესო პიროვნებებთან ურთიერთობის შესახებ, რომელთა დავიწყება არ შეიძლება". – აღნიშნავს ბატონი თამაზი წიგნის ერთ-ერთ ნაწილ-

ში. ასეთები თავიდანვე მრავლად ჰყავდა, ცხოვრების შარაგზაზე ნაგროვებ წლებს, ახალი მეგობრები, საქმიანი პარტნიორები თან ახლდნენ. ვალერიანე კობალიძეშვილი, შალვა გოგავა, ალექსანდრე ჩიქოვანი, ნოდარ გიგინეიშვილი, თემურ კანდელაკი, ნოდარ მულაძე, ჯულიეტა გოგავა, ნოდარ ბახტაძე, ზინაიდა (ჩუტუ) ნაცვლიშვილი, ოთარ შანიძე, გენო გეგეშიძე, მიხეილ ბულუკაიძე, ვალერიანე ბიბილაძეშვილი, თინა ჭილაძე, ლევან ყიფიანი, ვაჟა ნიკოლეიშვილი, ოთარ ცირეკიძე, ბადრი ტონია, სულგო ნინუა, მურად მუქერია, ლევან ჩხეიძე, ნოდარ გოგიბერიძე, რემი ვაშაძე, ანზორ გოგოლაძე, ზურაბ კობხეიძე, კორნელი ჩხილაძე, თამაზ მიქაძე, ბორის ფოცხვერაშვილი, ნათელა გელიშვილი... ეს იმ ადამიანთა არასრული ჩამონათვალია, წლების მანძილზე თამაზ იმედაძის გვერდში დგომით, დღეს მისგანვე რომ იმსახურებენ გულწრფელ მა-

ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების სახელოვანი მოღვაწეების შესახებ. ვერეიო ანჯაფარაძისთან, ეროსი მანჯგალაძისთან, ირაკლი აბაშიძისთან, მურმან ლებანიძისთან, ჯანსუღ ჩარვაიანთან, რიონ მეტრეველთან ურთიერთობის დაუვიწყარი დღეების განხილვა საოცარ ხიბლს ჰმატებს, ერთიორად საინტერესო წასაკითხს ხდის გამოცემას.
სხვადასხვა დროს გადაღებულ უნიკალურ ფოტოებთან ერთად, წიგნში შესულია თანამედროვეთა მოგონებები ავტორის, მისი ნაყოფიერი მოღვაწეობის, პიროვნული თვისებების, ღირებულებებისა და ფასეულობების შესახებ.
"ჩემი ძვირფასო მკითხველო, ყოველთვის ვცდილობდი, თქვენი ყურადღება და ძვირფასი დრო ბოროტად არ გამოემეფებინა, მაგრამ იმასაც ვითვალისწინებდი, რომ ყველა ადამიანს თავისი განუყოფელი ცხოვრება აქვს, ასეა ჩემიც".
პატრიოტული სულისკვეთებით, თანამემამულეთა პატივისცემით, კაცთმოყვარეობით დაწერილი წიგნი ამაღლებული განწყობით, თამაზ იმედაძისული შემართებით მთავრდება: "თქვენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა ჩემი ერის, ღირსეული შვილებო, ვეტრანებო, სახელწმიო მოღვაწეებო, შესანიშნავო ახალგაზრდებო, ჩვენი ქვეყნის სახვე და იმედო!"



შრომს აკაკა

ტოლების საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკონალი სამხმარს უცხადებს ამავე სკოლის პედაგოგს, სოფიკო ზუნდაძეს და მის შვილებს, ქრისტინე და ლუკა მებრელიშვილებს მეუღლისა და მამის **დავით ამბროსიშვილის** გარდაცვალების გამო.

ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა სამტრედიის რაიონული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მერე მსოფლიო ომის ვეტერანი **ბენიამინ სტურუა** და თანაურებთან განსვენებულის ოჯახს.

უჩოპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი "თბილისი 2015" დასრულდა

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი – "თბილისი 2015"-ის დახურვის ცერემონია საქართველოს პიონთ გაიხსნა, რის შემდეგაც აქ შეკრებილ სპორტსმენებს და საზოგადოებას პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა სიტყვით მიმართა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ფესტივალის ორგანიზატორებს.

ცერემონიაზე ოლიმპიური დროშა შემდეგ მასპინძელ ქვეყანას – უნგრეთს გადაეცა, რომელიც ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს.

ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი გრანდიოზული ფოიერვერით დასრულდა. ოლიმპიადის შედეგები ასეთია: რუსეთმა 17 ოქროს, 9 ვერცხლის, 11 ბრინჯაოს მედალი აიღო. ჯამში, რუსეთს 37 მედალი ერგო და პირველ ადგილზე გავიდა.

- მე-2 ადგილზე იტალია – 12 ოქროს, 2 ვერცხლის და 10 ბრინჯაოს მედალით, ჯამში – 24 მედალი.
- მე-3 ადგილს იკავებს საფრანგეთი ჯამში 22 მედალით, მათ შორის 9 ოქროს, 5 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს.
- მე-4 ადგილზე უნგრეთი 23 მედალით – 9 ოქროს, 3 ვერცხლის, 11 ბრინჯაოს.
- მე-5 ადგილზე სლოვაკეთი გავიდა ჯამში 16 მედალით, მათ შორის 5 ოქროს, 6 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალით.
- მე-6 ადგილზე მოლდოვა 7 მედალით – 5 ოქროს, 2 ვერცხლის.
- მე-7 ადგილი დაიკავა დიდმა ბრიტანეთმა 4 ოქროს, 8 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალით.
- მე-8 ადგილზე ესპანეთი 4 ოქროს, 7 ვერცხლის და 6 ბრინჯაოს მედალით.
- მე-9 ადგილზე ოქროს მედალების რაოდენობით ნიდერლანდები გავიდა 4 ოქროს, 3 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალით.
- მე-10 ადგილზე საქართველო. ქართულმა დელეგაციამ 4 ოქროსა და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ 10 მედალიდან 9 ქართველი ძიუდოსტების ანგარიშზეა.



60

ნინო ტიხაიძის ცაბურია, ნალდი "ქვემოთ-აბურია".

უხვედრა ჩემპიონატთან

სამტრედიელ სპორტსმენთა წარმატებებით, დაიხაც რომ, განებივრებულები ვართ. მუნიციპალიტეტის თავკაცები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ მხარში დაუდგნენ მოწინავე ახალგაზრდებს, მწვრთნელებს.

ამ დღეებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის ხელმძღვანელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწვეეს ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონს (69 კილოგრამ წონითი კატეგორია) ივერი ჯულაყიძეს, რომელმაც ოქროს მედალი დაიმსახურა და დემურ მეგენიშვილს, ევროპის პრინციპის, ვერცხლის მედალის კავალერს. (76 კილოგრამ წონითი კატეგორია). აქვე იყვნენ საჭიდაო კლუბ "ფალავანის" დირექტორი ირაკლი მელაშვილი, მწვრთნელები ვეფხია და ლაშა სტურუბი.

შეხვედრა საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი შენგელიამ გახსნა, რომელმაც სპორტსმენთა შესახებ ისაუბრა და წარმატებები უსურვა მათ.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიან ფოცხვერიამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურამ სახელოვანი წარმატება მიულოცეს ახალგაზრდებს და თანადგომა, მხარდაჭერა აღუთქმეს.

გადავწყვიტეთ, წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით 5 მოწინავე სპორტსმენი გამოვავლინოთ და დაავალიდოთ. წარმატებებს გისურვებთ! – მიმართა სპორტსმენს გამგებელმა.

მწვრთნელმა ვეფხია სტურუბამ მადლობა მოახსენა მუნიციპალიტეტის თავკაცებს თანადგომისათვის და სპორტსმენებისადმი ფინანსური მხარდაჭერა სთხოვა მათ.

სამადლობელი არც თავისუფალი სტილით მოჭიდებებმა, ივერი ჯულაყიძემ და დემურ მეგენიშვილმა დაიშურეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისადმი.

ამ დღეებში ბონია ჰერცოგოვინაში ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, სადაც ივერი და დემურიც იასპარეზებენ. წარმატებებს ვუსურვებთ.

ლევან ბაგჩავაძე



ბატონი თინათინ ცაბურიას!

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებსა და უღებ სიხარულს გისურვებთ!

ბატონი ლაშო ბაგჩავაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

მეგობრების რაიონული კავშირი

ჯონი ვასაძის!

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ჯონი, უფლის წყალობა, სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეს შენ და შენს ოჯახს!

ნოდარ ლევან ბაგჩავაძე

ლუკა ლევიძეს!

ჩვენო საყვარელო ლუკა! გილოცავთ დაბადების დღეს, უღებ სიხარულს, ბედნიერებას და ღვთის მფარველობას გისურვებთ! ოჯახის ღირსეული შვილი, გვჯერა, ღირსეული ქართველი ვაჟაკი იქნები!

"საზღვაოსანი გუნდი"



რატომ ინახავთ ღეროვან უჯრედებს

ღვთის მოწინავე ქვეყნებში ღეროვანი უჯრედების "ფოველი შემთხვევისთვის" შენახვა მეტად პოპულარულია. ამ საკითხზე საინტერესო კომენტარს აკეთებს იური ხეიფეცი – ღეროვანი უჯრედების კლინიკის "უახლესი მედიცინა" მთავარი ექიმი:

"ადამიანი, რომელიც თანხმობას აცხადებს მისი ან მისი ბავშვის ღეროვანი უჯრედების შენახვას, ცხადია, მეტად წინდახედულ ნაბიჯს დგამს და ერთგვარ დაზიანებას აკეთებს თავისი შვილისა და საკუთარი ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის. ისიც ცხადია, რომ კლინიკა თუ ჰემობანკი, რომელიც ასეთ პროცედურას სთავაზობს ადამიანს, გარკვეულ კომერციულ მოგებას ნახულობს. ამაში ცუდი არაფერია. მთავარია, გავივლით და განვასხვავოთ, რომელი ღეროვანი უჯრედების გამოყოფას და შენახვას გვთავაზობენ. ღეროვანი უჯრედები პანაცეა არ არის! მათ არ შეუძლიათ ადამიანი ყველა უბედურებისგან იხსნან. მკურნალობის ყველა მეთოდს თავისი ჩვენება, უკუჩვენება და შესაძლებლობები აქვს. ეს პირველი რიგშია.

მეორე და მნიშვნელოვანი არის ის, რომ ჰემობანკის სისხლიდან გამოყოფილი ღეროვანი უჯრედები ჰემობანკშია. მათ, სამწუხაროდ, კლინიკური მოქმედების შედეგებით ვიწრო სპექტრი აქვთ. ისინი ბავშვს მომავალში შესაძლოა გამოადგეს მხოლოდ დაზიანებული სისხლისა და სისხლძარღვოვანი სისტემის მკურნალობაში. რაც შეეხება ცხიმოვანი ქსოვილიდან გამოყოფილ ღეროვან უჯრედებს, ისინი მუშაობენ. მათ კლინიკური მოქმედების უნიკალური სპექტრი აქვთ და შესაძლოა, დიდი როლი ითამაშონ ადამიანის ორგანიზმის ნებისმიერი დაზიანებული ორგანოსა და ქსოვილის მკურნალობაში. თუმცა, გასათვალისწინებელია შემდეგი: ზრდასრული ადამიანის ცხიმოვანი ქსოვილიდან ლიმფოსაქციის დროს გამოყოფილი უჯრედები ვერანაირად ვერ დაეხმარება მის შვილებს. იმიტომ, რომ ღეროვანი (ღეროვანი უჯრედების წყარო, იგივე მომცემი) პრინციპულად არ შეიძლება იყოს რეციპიენტზე (უჯრედების მიმღებზე) უფროსი ანუ დიდი ასაკის. აქ მარტივი გამოსავალია. ღეროვანი უჯრედების გამოყოფა უნდა მოხდეს არა ჰემობანკის სისხლიდან, არამედ პლაცენტადან. ეს იქნება ის მუშაობის უნიკალური უჯრედები, რომლებიც ბავშვს სავსებით გამოადგება მომავალში. ღეროვანი უჯრედების შენახვისთვის დამაკონსერვებელი აგენტის სახით თხევადი აზოტი გამოიყენება. უჯრედების შენახვის ვადა კი პრაქტიკულად შეუზღუდავია".

თინათინ ბოგაძე

რედაქციის მისამართი: სამტრედიო, რისაუბლიკის ქ. №6 ტელ: 790 391839



დირექტორი ბეჟან ბოგია

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაჭავაძე

გამომშვეები რედაქტორი თეა ბაგჩავაძე

პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაგჩავაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე